საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 97
(11 656)

13 – 16 დეკემბერი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**ნომერში წაიკითხავთ:**


- ცალთვალა მეკარე ანუ აუღებელი ციხე-სიმაგრე
- 3,5 წლის გოლიათი ოლიმპიურ სკოლაში მიიწვიეს
- 20 წელიწადი გავიდა ვიტალი დარასელიას ტრაგედიიდან...
- მოსკოვმა „ევრო – 2008" ვერ მიიღო
- ეროვნული ჩემპიონატის შუალედური ფინიში
- რონალდო „უორლდ სოკერის" რჩეული ფეხბურთელია
- ქართული ალპინიზმის მესაძირკვლენი...


# ძიუდოს პატრონი ნამდვილად ჰყავს

სპორტული ბაზებისაგან განსხვავებით, თბილისში და ქვეყნის სხვა რეგიონებში თვალს იზიდავს და გულს ახარებს ახალი სპორტული თუ სპორტთან დაკავშირებული კლუბებისა და ოფისების ხილვა, რომლებიც არა თუ ჩამოუვარდებიან ესთეტიკურად და გემოვნებით მსოფლიოს ანალოგებს, ზოგიერთი აჭარბებს კიდეც. ეს უდავოდ მისასალმებელი ტენდენციაა და თუ ქვეყნის მთავარ სპორტულ ბაზებსაც გამოუჩნდება ასეთი მზრუნველი, მაშინ ნამდვილად გაგვიხდება საქმე ცაში ქუდების სასროლად. მთავარი ბაზები ვთქვით თორემ იმდენი საბავშვო კეთილმოწყობილი სპორტული, განსაკუთრებით ფეხბურთის მოედნები გაჩნდა ბოლო წლებში, მტერსაც რომ გაუხარდება.

„მსოფლიო სპორტი" ჰქვია ახალ კლუბს, რომელიც დედაქალაქში „დინამოს", ანუ ეროვნული სტადიონის ტერიტორიის მისადგომთან (მუშტაიდის მხრიდან) გაიხსნა წლეულს. სპორტის, განსაკუთრებით ფეხბურთის გულშემატკივრები თავს აქ ნამდვილად ისე იგრძნობენ, თითქოს კლუბში კი არა, სპორტის, თანაც მსოფლიო სპორტის მუზეუმში შეაბიჯეს. ცნობილი ფეხბურთელების მაისურების გარდა, აქ თვალსაჩინოდ გამოფენილ სხვა ექსპონატებსაც შეხვდებით.

კლუბმა, გუშინწინ, საქართველოს ძიუდოს ნაკრებს და სპეციალისტებს უმასპინძლა, რითაც, ვფიქრობთ, საფუძველი ჩაეყარა კარგ ტრადიციას – ამაზე უკეთეს ადგილს, სპორტსმენები და მათი ხელმძღვანელები, ალბათ, ვერსად მოიძიებენ თავშესაყრელად და სამსჯელოდ თუნდაც იმიტომ, რომ თვით ეს ტერიტორიაა ქართული სპორტის ადგილის დედა, ეს ახალი კლუბი კი შესანიშნავად ჩაეწერა ამ სივრცეში როგორც სანახაობრივი თვალსაზრისით, ისე შინაარსობრივად.

ძიუდოისტთა და მიწვეულ ჟურნალისტთა შეხვედრა კლუბში გახსნა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, რომელმაც თავის მხრივ სიტყვა გადასცა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს დილარ ხაბულიანს. რაც მან თქვა, ქვემოთ გაგაცნობთ, მაგრამ მანამდე გვინდა გითხრათ, რომ ჟურნალისტები დაბეჯითებით ვადევნებთ თვალყურს ფედერაციების საქმიანობას, რაც, ცხადია, საბოლოო ჯამში ფასდება მხოლოდ შედეგით და, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება თუ ვიტყვით, რომ ძიუდოს საქართველოში ჰყავს პატრონი, ისევე, როგორც ჭიდაობას, მათი ფედერაციების პრეზიდენტების თავკაცობით. დილარ ხაბულიანი, წარსულში თავად ცნობილი ძიუდოისტი და მწვრთნელი, ზედმიწევნით კარგად იცნობს სპორტის ამ სახეობის გარე თუ შიდა სამყაროს, მის პრობლემებს,. ალბათ ამიტომაც, ყველას გული მშვიდად გვაქვს, როცა ძიუდოს ჩვენი ოსტატები საპასუხისგებლო შეჯიბრებაში გამოდიან.

*ახლა თავად დ. ხაბულიანს მოვუსმინოთ:* „უპირველესად უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს, სპორტის დეპარტამენტს, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ნებისმიერ ორგანიზაციას თუ პიროვნებას, რომელთაც რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს საქართველოში ძიუდოს საკეთილდღეოდ და მსოფლიოში წარმატებით წარმოსაჩენად".

ფედერაციის პრეზიდენტმა განსაკუთრებით თბილად მოიხსენია მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი და მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი, ჯეროვნად შეაფასა მათი დამსახურება წლევანდელ უაღრესად თვალსაჩინო მიღწევებში. მიღწევები კი ასეთია: მსოფლიოში მეორე გუნდური ადგილი და ევროპის ჩემპიონობა, ასევე პირად პირველობაში ჩემპიონები და პრიზიორები. ამაზე მეტი რაღა უნდა მოემკო მონოლითურ გუნდს, მით უფრო თუ ვიტყვით, და ეს ამ შეხვედრაზეც ითქვა, რომ ფედერაციას მწირი დაფინანსება აქვს, იმდენად მწირი, რომ არ ხერხდება შეკრებების ჩატარება, ტურნირებში ხშირი და სრული შემადგენლობით მონაწილეობა, გამოყოფილი თანხა მხოლოდ ერთ-ორ დიდ ღონისძიებაში გამოსვლას თუ გასწვდება სრულად. გამოყოფილი თანხის ნახევარი, ამასთან, თბილისის საერთაშორისო ტურნირს ხმარდება, რომელიც უმაღლესი კატეგორიის ასპარეზობაა და შეტანილია საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში.

შოთა ხაბარელი: „ჩემი მხრიდანაც მინდა ყველას დიდი მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის. მიუხედავად მძიმე ეკონომიკური პირობებისა, ასეთი ერთსულოვნებით ჩვენ გვინდა ყველა წონაში მოვიპოვოთ 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია. უკვე თბილისის საერთაშორისო ტურნირიდან შევუდგებით ამისთვის თავდაუზოგავ მზადებას".

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა ჟურნალისტებს გააცნო ფედერაციის გადაწყვეტილება წლის რჩეულთა გამოვლენის შესახებ, რასაც დღესვე ვაქვეყნებთ. დილარ ხაბულიანმა ფულადი პრემიები გადასცა საუკეთესო ათეულის პირველ სამეულს.

შემდეგ კლუბის მყუდრო ინტერიერში, ძიუდოს სამყაროს რჩეულებმა და ჟურნალისტებმა წლევანდელი წარმატებები და დამდეგი ახალი წელი ახალი სურვილებით, შამპანურით მიულოცეს ერთმანეთს.

**თ. თომაშვილი**

*ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა*



*პრესკონფერენციაზე*

*2002 წელს საქართველოს სამივე ასაკის სპორტსმენებმა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მოიპოვეს ოქროს 11, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს — 5 მედალი. გუნდური ჩათვლებით დიდები გახდნენ ევროპის ჩემპიონები და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები, ჭაბუკები და ახალგაზრდები კი, რომლებმაც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატებში ოქროს — 4, ვერცხლის — 3 და ამდენივე ბრინჯაოს მედალი, გუნდურ ჩათვლებში გახდნენ ევროპის ჩემპიონები. გარდა ოფიციალური ჩემპიონატებისა, საქართველოს ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს მრავალ საერთაშორისო ტურნირებში და გრან-პრის კომერციულ შეჯიბრებებში, სადაც მათ მოიპოვეს ოქროს — 27, ვერცხლის — 24 და ბრინჯაოს 20 მედალი.*



*დილარ ხაბულიანი ფულად ჯილდოს გადასცემს ზურაბ ზვიადაურს*



*ნესტორ ხერგიანი* *ზურაბ ზვიადაური* *დავით ქევხიშვილი*



## კახი ასათიანის ხსოვნას

20 ნოემბერს, ვაკეში, ვერაგულად მოკლულ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს და ცნობილ ფეხბურთელს, კახი ასათიანს გუშინ 56 წელი შეუსრულდებოდა. მეგობრებმა, კოლეგებმა და ახლობლებმა თვალცრემლიანებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ჩინებული პიროვნება და მამულიშვილი, მოინახულეს და ყვავილებით შეამკეს კახი ასათიანის საფლავი.

# ძიუდოს რჩეულნი

**საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმმა და მწვრთნელთა საბჭომ გამოავლინა 2002 წლის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯების, ქალაქებისა და რაიონების ათ-ათი რჩეული.**

### 10 საუკეთესო სპორტსმენი

ზურაბ ზვიადაური, ნესტორ ხერგიანი, დავით ქევხიშვილი, ივერი ჯიქურაული, გიორგი რევაზიშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, დავით მარგოშვილი, ალექსი დავითაშვილი, მორის თადუმაძე, გიორგი გუგავა.

### 10 საუკეთესო მწვრთნელი

შოთა ხაბარელი, ოთარ ნათელაშვილი, ანზორ მარგველანი, ბიძინა მოხევიშვილი, ტარიელ შათირიშვილი, გუგულა აბრამიშვილი, გურამ მოდებაძე, მიხეილ ზაუტაშვილი, სოლომონ ფეიქრიშვილი, ტარიელ მამრიკიშვილი.

### 10 საუკეთესო მსაჯი

მერაბ ლოსეურაშვილი, ზურაბ კახაბრიშვილი, ვლადიმერ ნუცუბიძე, ელგუჯა მურადაშვილი, გია სოსიტაშვილი, ამირან კელიხაშვილი, ზაზა მჭედლიძე, ტარიელ ცინცაძე, ნუგზარ გოგოლაური, დავით ლაზრიშვილი.

# ანონსი

## შემდეგ ნომერში:

### დავორ შუკერი



### ჭიდაობა-2002

გაბრიელ ბარჯაძე მიმოიხილავს წლის მონაგარს

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### გერმანელთა რეკორდი

გერმანიის ქალაქ რეზაში მიმდინარე მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატზე მასპინძლებმა ვაჟთა შორის 4X50 მ კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. გამარჯვებულთა შედეგია 1 წუთი და 34,75 წამი. მეორე ადგილზე გავიდნენ ფინელები (1.35, 69), ხოლო მესამეზე — უკრაინელი სპორტსმენები (1.36,46)

### ათი კილომეტრი და მილიონი დოლარი

10-კილომეტრიან დისტანციაზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰაილე ჰებერსელასიემ კატარის ქალაქ დოხაში საერთაშორისო შეჯიბრება მოიგო. მან ორი 5-კილომეტრიანი წრე 27 წუთსა და 2 წამში გაირბინა და ჯილდოდ ერთი მილიონი დოლარი მიიღო.

### უეფას თასი — განმეორებითი მატჩები

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) – ლიბერეცი (ჩეხეთი) 1-0 (პირველი მატჩი 2-2).
ფულემი (ინგლისი) – ჰერტა (გერმანია) 0-0 (1-2)
ლიონი (საფრანგეთი) – დენიზლისპორი (თურქეთი) 0-1 (0-0)
დინამო (უკრაინა) – ბეშიქთაში (თურქეთი) 0-0 (1-3)

# მილოცვები



საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 75 წლის თავს ულოცავს ქართული სპორტის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს გუნდურ და პირად პირველობაში, მსოფლიოს თასის გუნდური გათამაშების გამარჯვებულს, მსოფლიო ფესტივალების ორგზის ლაურეატს, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულს, ფილას და ღირსების ორდენების კავალერს ოთარ კანდელაკს.



*ილეთს ატარებს ოთარ კანდელაკი*

„ლელოს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ვეტერან თანამშრომელს ნუნუ აუხატს და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს.

* * *

საქართველოს ვეტერანი ველოსიპედისტები დაბადების დღეს ულოცავენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ველოსპორტში თეიმურაზ გეჯაძეს.




მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 8 თვე დარჩა




ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 2 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

## წუხელის გოლიათი დაბადებულა...

რუსეთში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთის ქალაქ თერგში თურმე ცხოვრობს 3,5 წლის ბიჭუნა ჯამბულატ ხატონოვი, რომელიც... 40 კილოგრამს იწონის და აქვე თავისი ასაკის ბავშვებისათვის წარმოუდგენელი ძალაა. მაგალითად, ბიჭუნას თავისუფლად შეუძლია ასწიოს 24-კილოგრამიანი ტვირთი. ბაგა-ბაღში მოთამაშე პატარა გოლიათი ოლიმპიური რეზერვების სკოლაში მიიწვიეს.

## კიდევ ერთი დიდი ოსტატი

ბოლო 10 წელიწადში საქართველო აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან ოსტატთა ქვეყნად იქცა პოდსაბჭოთა სივრცეში. ზოგიერთმა უცხოეთში დახვეწა უიარაღო ბრძოლის ხელოვნება.

ჯამბულ ძაძამიამ ფოთში, ჰიდრომელიორაციის სასწავლებელში სწავლისას ნიჩნოსნობით დაიწყო სპორტთან მეგობრობა, მაგრამ შემდეგში უფრო კარატეს დაუდო გული. 20 წლისამ საქართველოს უშუ-ს ფედერაციის მიერ ორგანიზებულ მეორე ეროვნულ ჩემპიონატში მწვრთნელ ირაკლი დუნდუას ხელმძღვანელობით პირველობა მოიპოვა. იმავე წელს აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნების უნივერსიტეტში შედის. მალე როსტოვში გადავიდა სასწავლებლად, იქ ხვეწს ოსტატობას და აი, 1994 წელს რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი ხდება სტავროპოლში. მომდევნო წელს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯისა და მწვრთნელის წოდებები მიენიჭა. ის წელიწადი ღირსსახსოვარი იმითაც იყო, რომ ყველა კარატისტის ოცნება – შავი ქამარი დაიმსახურა.




ჯამბულ ძაძამია

ჯამბულ ძაძამია ევროპამაც გაიცნო, თანაც ტრიუმფით – ზედიზედ სამჯერ 1996, 1997 და 1998 წლებში კონტინენტის ჩემპიონი ხდება. წლეულს, ამ ერთი თვის წინათ კი უკვე 30 წლისამ, ჯამბულმა, მსოფლიოს ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა ფეხი – პლანეტის ჩემპიონის ტიტული შოტოკან კარატე დო-ში მოიპოვა...

**ირაკლი სარალიძე**

## ? შეკითხვა „ლელოს“

*შეკითხვა: გთხოვთ გვიპასუხოთ, რომელი წლიდან ტარდება მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულიველოსპარეზობა „ტურ დე ფრანსი“, რამდენი გამარჯვებული ჰყავს მას და რამდენია მათგან ცოცხალი ამჟამად?*

*გურამ გნოლიძე, თბილისი.*

ამ შეკითხვაზე „ლელომ“ ვეტერან მოტო-ველო სპორტსმენს **ავთანდილ გუნიას** სთხოვა კომენტარი, რომელსაც აქვე გთავაზობთ: „ტურ დე ფრანსი“ ტარდება 1902 წლიდან ფრანგთა თაოსნობით. ასე რომ, წლეულს 100 წელი შეუსრულდა, მაგრამ ომების დროს რბოლები არ გამართულა და 100-ზე ნაკლებია, კონკრეტულად 91 შეჯიბრებაა ჩატარებული. რბოლებში ხუთ-ხუთჯერ გაუმარჯვნია ფრანგებს ჟაკ ანკეტილს და უნოს, ბელგიელ ედი მერქსს და ესპანელ ინდურაინს. ხუთეულში შესვლის დიდი შანსი აქვს ამერიკელ არმსტრონგს, რომელმაც წლეულს მეოთხედ მოიგო ეს ასპარეზობა. გამარჯვებულთაგან დღეს ცოცხალია მხოლოდ 22 მრბოლი. აღსანიშნავია, რომ ასპარეზობას ემსახურება 1500 კაცი, 500 მანქანა, 150 მოტოციკლეტი, უამრავი ტელეტექნიკა. რბოლაში მონაწილეობს 19-20 გუნდი, თითოეულში 9 წევრია. 2003 წლის შეჯიბრება, როგორც ამბობენ, ყველაზე გრანდიოზული იქნება, საპრიზო ფონდითაც კი, რომელიც გასაიდუმლოებულია.

# კაკო მარის გახსენება

**ქართული ალპინიზმის ნევრები**



კაკო მარი

წლეულს კაკო (ივანე) მარი 100 წლისა გახდებოდა. ამ ერთი შეხედვით არცთუ დიდად უჩვეულო ფაქტის მიღმა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან საქმე ეხება ჩვენი საზოგადოების, თუ გნებავთ, ერის, ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს.

არ მინდა თავი შევაწყინო მკითხველს ბ-ნი კაკოს სპორტული მიღწევების ჩამოთვლით, რაც თავის დროზე და შემდგომშიც მრავალგზის აღნიშნულა. მინდა მხოლოდ გავიხსენო, თუ რა ღრმა კვალი დაამჩნია ჩვენი საზოგადოების ცხოვრებას მისმა მოღვაწეობამ თუნდაც მარტო მთამსვლელობის სფეროში.

1950 წელს, როდესაც ქართველ მთამსვლელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კაკო მარი, ბექნუ ხერგიანი, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი და გოჯი ზურებიანი, ახორციელებდა შხელდა-უშბის ურთულეს ტრავერსს, რუსთაველის პროსპექტზე, სტენდზე, გამოფენილი იყო ამ მოვლენის ამსახველი ფოტოები ჯგუფის გადაადგილების რეჟიმითა და სვლა-გეზის სქემით. მთელი საზოგადოება, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდობა, აღფრთოვანებით ადევნებდა თვალს ერის გმირებად აღიარებულ მთამსვლელთა ხიფათით სავსე თითოეულ ნაბიჯს. ამ აქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც იმპულსს ახალგაზრდობის ზრახვათა ზიარებისა ჰეროიკასთან. ჩვენ, ახალგაზრდებს, და, საერთოდ, ყველას სიამაყის გრძნობა გვეუფლებოდა მრისხანე მთებთან შეჭიდებულ ჩვენს თანამემამულეთა უდრეკი ვაჟკაცობის გამო. მთელი 24 დღის განმავლობაში, ტრავერსის დაწყებიდან დამთავრებამდე, რუსთაველის პროსპექტი და მთლიანად დანარჩენი საქართველოც, შეიძლება ითქვას, ამ ჯგუფის



მაქსიმე გვარლიანი



ბექნუ ხერგიანი



ჭიჭიკო ჩართოლანი



გოჯი ზურებიანი

ცხოვრებით ცხოვრობდა. [illegible]ვარე დღეები, როდესაც უამინდობის გამო ჯგუფის მოძრაობა ფერხდებოდა. უდიდესი გასაჭირის ფასად მთამსვლელები ერთი ნაბიჯითაც კი არ იხევდნენ უკან და მარშრუტზევე ელოდნენ გამოდარებას.

უნდა გენახათ, რა განცდებში იყვნენ ჩვენი მოქალაქეები, რა ახლოს მიჰქონდათ მათ გულთან მთაში მყოფ თანამემამულეთა გაჭირვება, როგორი ერთსულოვანი იყო მათი შეშფოთება მთამსვლელთა ბედისადმი. ეს განსაკუთრებით მაშინ გამოჩნდა, როდესაც 24-დღიანი გმირული ტრავერსი გამარჯვებით დამთავრდა და ყველამ უდიდესი შვებით ამოისუნთქა.

ახლა ვხვდები, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ალპინიზმის პოპულარიზაციას ახალგაზრდობისა და მთელი ერის გაერთიანებისათვის. გარდა ამისა, ტრავერსის ასეთმა დემონსტრირებამ ბევრ ყმაწვილ-კაცს (მათ შორის – თქვენს მონა-მორჩილსაც) აღუძრა სურვილი თავადაც მოესინჯა ძალა მთებთან ჭიდილში. სწორედ იმ პერიოდიდან მძლავრი სამომავლო ბიძგი მიეცა ჩვენში მთამსვლელობის განვითარებას.

შემდგომ წლებში კაკო მარის ჯგუფი კიდევ მრავალ წარმატებას მიაღწევს: დაილაშქრება სამხრეთ უშბის დასავლეთი კედელი, განხორციელდება ასვლები პამირში, რომელთაგანაც თითოეული იმ დროისათვის უმაღლეს შეფასებას მიიღებს, მაგრამ ვფიქრობ, შხელდა-უშბის ტრავერსის ბრწყინვალებას ვერაფერი დაჩრდილავს, მას ბადალი არ ჰყავს ამ ჯგუფის და არამარტო ამ ჯგუფის ისტორიაში.

უაღრესად საინტერესო გახლდათ ბ-ნი კაკო, როგორც პიროვნება: ყოფაში, ყველას მიმართ – რბილი და დელიკატური, განსაკუთრებით – ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში; მაგრამ, ამავდროულად, სრულიად შეუვალი და პრინციპული, თუ საქმე მთამსვლელობას შეეხებოდა.

მოკლე პერიოდის გამოკლებით, ბ-ნი კაკო იყო უცვლელი წევრი მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმისა. არავის ახსოვს, რომ პრეზიდიუმზე წამოჭრილი, ხშირად ცხარე კამათის დროს, მას ხმა აემაღლებინოს და ვინმესთვის უხეშად მიემართოს. პირიქით, ასეთ კამათში ის მუდამ ხაზგასმულად თავაზიანი იყო. რაც უნდა მწვავე ყოფილიყო მისი გამოსვლა შინაარსით, ფორმით მუდამ აუღელვებელი, ლაკონური და კორექტული იყო. ეს თვისება მისაბაძად უნდა იქცეს დღევანდელი ახალგაზრდობისათვის.

საკმაოდ დიდი დრო გასული მას შემდეგ, რაც ბ-ნი კაკო ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ ჩემს თაობას დღესაც კარგად ახსოვს ამ ნათელი პიროვნების მაღალადამიანური თვისებები. ეს იყო გულმართალი, მუხლმაგარი, ზნესრული და კეთილი კაცი, რომლის მთამსვლელური შემართება და მოღვაწეობა სამუდამო მაგალითად უნდა დარჩეს ყველა მომდევნო თაობისათვის.

**დავით ბარაბაძე,**
საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი



აი, ისინიც, ვისაც „ტურ დე ფრანსში“ გაუმარჯვია და დღემდე ცოცხალი ლეგენდები არიან.



## მადლობის წერილი უეფადან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 19 წლამდე ჭაბუკ ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მინიტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის უეფადან მადლობის წერილი მიიღო.

სფფ-ს სამადლობელ წერილს სამი სტუმარი გუნდის, მსაჯებისა და უეფას დელეგატების სახელით, ხელს აწერს უეფას წარმოებისა და რეალიზაციის ახალგაზრდათა და მოყვარულ ფეხბურთელთა კომიტეტის მენეჯერი კლაუდიო ნეგრონი. იგი შემდგომ წარმატებას უსურვებს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს.

## მატჩი გადაიდო

**15 დეკემბრისთვის დაგეგმილი რევაზ არველაძისეული ახალგაზრდული ნაკრების საკონტროლო მატჩი „ლოკომოტივთან“ უამინდობის გამო გადაიდო.**

### საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
## უმაღლესი ლიგა XXII ტური

**მერანი 91 – სიონი 3-2**

12 დეკემბერი. თბილისი. „სინათლის“ სტადიონი

***მერანი:*** ნაჭყებია, ადუაშვილი, მაზანიშვილი, დევიძე, ილურიძე, მესხი, ბაჯელიძე (გრიგორიევი 85), კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (ქადაგიძე 62), შენგელია (ნოზაძე 58), ჭინჭარაული.

***სიონი:*** ვოლკოვი, ბაქრაძე, ჩხაიძე (კრავეიშვილი 46), გოგიტაძე, კვეკვესკირი, კაციაშვილი, დაუშვილი (ირემაშვილი 62), დათვაძე, გოდერძიშვილი, შავგულიძე (ხუჭუა 46), გაბისკირია.

*გოლები:* 1-0 ბაჯელიძე (10), 2-0 მესხი (12), 3-0 კოშკაძე (51) 3-1 გოდერძიშვილი (პენ. 67), 3-2 დათვაძე (72).

*მსაჯი:* ა. მეშკოვი (თბილისი)

# დასრულდა პირველი ეტაპი

დასრულდა საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი. თბილისში „სინათლის“ სტადიონზე „მერანი 91“-მა ბოლნისის „სიონს“ მოყინულ მინდორზე უმასპინძლა. გულშემატკივარი ამინდის გამო მცირე იყო, მაგრამ მასპინძლებს მხურვალე გულშემატკივრობა მაინც გაუწიეს ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელებმა. მოთელვის დროს ორივე გუნდის მოთამაშეები სიცივეს და თოვლიან მინდორს შეეჩვივნენ, მაგრამ თამაში მაინც გაუჭირდათ. ქოლოსფერი ბურთი მათ განკარგულებაში იყო. მასპინძლებს გოლის გატანა ძალიან სურდათ, რაც აისრულეს კიდეც მე-10 წუთზე. „სიონის“ ფეხბურთელებს გონს მოსვლის საშუალებაც კი არ მისცა მესხმა, რომელმაც ანგარიში ორიოდე წუთში ორამდე გაზარდა. გაშვებულმა გოლებმა სტუმრები, თითქოსდა გამოაცოცხლა. კერძოდ, შავგულიძემ ანგარიშის შემცირების კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. 51-ე წუთზე კოშკაძემ კიდევ ერთი უპასუხო გოლი გაუტანა სტუმართა მეკარეს. გოდერძიშვილს, რომელიც ერთ-ერთი აქტიური მოთამაშე იყო „სიონის“ შემადგენლობაში, 67-ე წუთზე პენალტის დარტყმის საშუალება მიეცა და ანგარიში გახდა 3-1. ამის შემდეგ ბევრი იყო ორმხრივი იერიშები, მაგრამ თოვლი და ყინვა ხელს უშლიდა ორივე გუნდს. მხოლოდ 72-ე წუთზე დათვაძემ მოახერხა ანგარიშის შემცირება. საბოლოოდ, მასპინძლებმა ეს მატჩი მოიგეს და პირველი ეტაპი მე-7 ადგილზე დაასრულეს.

ლ. ჯანკოტაძე

**გუშინ:** ვიტ ჯორჯია — კოლხეთი 1913 2-0; მეტალურგი — მილანი 5-0; დილა — დინამო (თბ) 0-3; დინამო (ბთ) — ლოკომოტივი 0-1; მერანი — სიონი 3-2; ტორპედო — გორდა 6-3.

## პირველი ეტაპის შედეგები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 22 | 18 | 2 | 2 | 50-8 | 56 (28) |
| ტორპედო | 22 | 16 | 4 | 2 | 50-15 | 52 (26) |
| ლოკომოტივი | 22 | 16 | 2 | 4 | 35-10 | 50 (25) |
| ვიტ.ჯორჯია | 22 | 16 | 1 | 5 | 40-15 | 49 (25) |
| სიონი | 22 | 9 | 3 | 10 | 26-27 | 30 (15) |
| კოლხეთი 1913 | 22 | 9 | 3 | 10 | 28-33 | 30 (15) |
| მერანი | 22 | 6 | 5 | 11 | 25-37 | 23 (12) |
| დილა | 22 | 6 | 3 | 13 | 17-29 | 21 (11) |
| დინამო (ბთ) | 22 | 5 | 5 | 12 | 16-27 | 20 (10) |
| მეტალურგი | 22 | 6 | 1 | 15 | 17-50 | 19 (10) |
| გორდა | 22 | 4 | 1 | 17 | 22-45 | 13 (7) |
| მილანი | 22 | 3 | 4 | 15 | 11-47 | 13 (7) |

*შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია განახევრებულ ქულათა ის რაოდენობა, რომლითაც კლუბები მარტში დაიწყებენ ჩემპიონატის მეორე ეტაპს.*

# საზღვარგარეთული ვოიაჟის წინ

**თბილისის „დინამო“ საგაზაფხულო სეზონისათვის სერიოზულ სამზადისს გაივლის: მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ნახევრის დაწყებამდე კვიპროსული და ბოსნიურ-ხორვატიული შეკრებები დაგეგმა.**

დინამოელები 12 იანვარს კვიპროსზე გაემგზავრებიან, სადაც 28 იანვრამდე დაჰყოფენ, შემდეგ თბილისში დაბრუნდებიან, ორ დღეში კი ბოსნიას მიაშურებენ: 7-9 თებერვალს შიროკი ბრიაგთან მდებარე ქალაქ მეჩგორიეში გაიმართება... შუშაკის სახელობის ტურნირი. გაგიკვირდათ, არა? საქმე ის არის, რომ ეს ტურნირი ივო შუშაკის კი არა, მისი ახლო ნათესავის სახელობის ტურნირია, რომელიც ერთი პერიოდი ხორვატიის თავდაცვის მინისტრი იყო.

ტურნირის დასრულების შემდეგ თბილისის „დინამო“ გააგრძელებს შეკრებას ხორვატიაში, კერძოდ, ქალაქ მაკარსკაში. იქ თბილისელი ფეხბურთელები ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებენ და არც ის არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზონ.

როგორც ჩანს, „დინამო“, საფუძვლიანი შეკრების გავლით არა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონობასა და თასის მფლობელობას უმიზნებს, არამედ, ევროტურნირებში ღირსეულად გამოსვლასაც.

თენგიზ ჩოგანიძე

# ცნობები სფფ-ს შტაბ-ბინიდან

## სფფ-ს აღმასკომი გამოიკითხა • ყრილობის დღე დადგინდა • პრეზიდენტი შვეიცარიაშია • კლუბების ლიცენზირების პროცესი დაიწყო

**აი, ის ძირითადი საკითხები, რომელზეც ჟურნალისტთა მცირე ჯგუფთან გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.**

განსაკუთრებულ ინტერესს სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას მდგომარეობისა და მორიგი ყრილობის თარიღის დადგენა იწვევდა.

მერაბ ჟორდანია, ამჟამად უკეთ არის და მუშაობასაც კარგა ხანია შეუდგა. სფფ-ს პრეზიდენტი შვეიცარიაშია და უეფას იუნიორ და მოყვარულ ფეხბურთელთა კომიტეტის სხდომაში მონაწილეობს.

სფფ-ს ყრილობა 14 თებერვალს ჩატარდება, ასე დაადგინა აღმასკომის წევრთა გამოკითხვამ. აღმასკომის 17 წევრიდან 12-მა მცირე შენიშვნების გათვალისწინებით. მხარი დაუჭირა 29 ნოემბერს არგამართული აღმასკომის საკითხებს. სფფ-ს თებერვლის ყრილობის დღის წესრიგის უმთავრესი საკითხებია:

1) სფფ-ს წესდების დამტკიცება, 2. კლუბების ლიცენზირების ეროვნული სისტემის დამტკიცება, 3) სფფ-ს აუდიტის დამტკიცება, 4) ახალი, 15-კაციანი აღმასკომის არჩევნები. ყრილობას 44 დელეგატი დაესწრება.

შექმნილია კლუბების ლიცენზირების კომიტეტი, რომელსაც აფხაზეთის [illegible] რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე უხელმძღვანელებს. სფფ-მ ყველა კლუბს ლიცენზირების ეროვნული სისტემის 205-გვერდიანი სახელმძღვანელო დაურიგა, მეცადინეობები იანვრიდან დაიწყება. სამომავლოდ შეიქმნება სფფ-ს ფეხბურთის განვითარებისა და შეჯიბრებების და ნაკრებთა დეპარტამენტები, რომელთაც სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტები უთავკაცებენ.

# დანიური დესანტი პროგრეს-კურსებზე

სასტუმრო „თორში“ დასრულდა უეფას ადმინისტრირების პროგრეს – კურსები. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბების მენეჯერები ორი დღე ისმენდნენ უეფას ადმინისტრაციის ექსპერტთა საბჭოს ხელმძღვანელის დანიელი ტორბენ მოგენსენის ლექციებს. თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. საუბარი შეეხო სპონსორების მოზიდვას, კლუბების მართვის პრინციპებს, ბიუჯეტს, კლუბებისა და ფედერაციის ურთიერთობას, საშუასეზონო ტურნირების ორგანიზებას, კლუბების ლიცენზირების სისტემას. პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებას და სხვა საფეხბურთო აქტუალურ საკითხებს, რომლებიც სკანდინავიური ქვეყნების, კერძოდ, დანიის მაგალითზე განიხილებოდა. სტუმარმა მსმენელებს ლექციების დასასრულს ატესტატები გადასცა.



ტორბენ მოგენსენი სემინარზე

თუმცა უეფას პროგრეს-კურსები ამით არ ამოწურულა. 17-18 დეკემბერს სემინარისტთა მერხებს კლუბების ექიმები მიუსხდებიან. სამედიცინო საკითხებზე ლექციებს ჩვენს დასტაქრებს ისევ დანიელი სპეციალისტი, ამჯერად მოგენს კროიცფილდი წაუკითხავს.

# გიორგი დემეტრაძე „რეალ სოსიედადში“ ბრუნდება!



„ალანიას“ ყოფილი ფორვარდი გიორგი დემეტრაძე (სურათზე №9) კვლავ უბრუნდება ესპანურ „რეალ სოსიედადს“, რომელიც ამჟამად ესპანეთის პრიმერადივიზიონში წარმატებით ასპარეზობს და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა. როგორც ქართველი ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, „სოსიედადის“ მთავარ მწვრთნელს ძალიან სურს, დემეტრაძე თავის გუნდში იხილოს. შეგახსენებთ, რომ ქართველი ლეგიონერი კონტრაქტით ისევ ესპანელებს ეკუთვნის. ის არენდით გადასცეს მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჯერ მოსკოვის „ლოკომოტივს“, შემდეგ კი — „ალანიას“.



შეტევაზეა რონალდო

# რონალდო მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს

ჟურნალ „უორლდ სოკერის“ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ბრაზილიელი რონალდო მსოფლიოს 2002 წლის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. მეორე ადგილზე გავიდა გერმანელი მიხაელ ბალაკი, ხოლო მესამეზე — რობერტო კარლოსი.

რონალდო პირველი ფეხბურთელია, რომელსაც აღნიშნული ჯილდო მესამედ ხვდა წილად. გასულ წელს გამოკითხვის მიხედვით გამარჯვებული მაიკ ოუენი წელს მხოლოდ მეცხრე ადგილზე გავიდა.

***საუკეთესო გუნდად*** აღიარეს ბრაზილიის ნაკრები, რომელმაც ხმების რაოდენობით გადაუსწრო „რეალს“, „არსენალსა“ და სამხრეთ კორეის ნაკრებს.

***საუკეთესო მწვრთნელად*** აღიარეს გუუს ჰიდინკი, რომელმაც ლუის ფილიპე სკოლარის აჯობა.

**გაგაცნობთ „უორლდ სოკერის“ მიერ ბოლო ოც წელიწადში ჩატარებული გამოკითხვების ლაურეატებს:**

***წლის საუკეთესო მოთამაშეები:*** 1982 — პაოლო როსი, 1983- ზიკო, 1984-85 — მიშელ პლატინი, 1986 — დიეგო მარადონა. 1987 — რუუდ გულიტი. 1988 — მარკო ვან ბასტენი, 1989 — რუუდ გოლიტი, 1990 — ლოთარ მათეუსი, 1990 — ჟან პიერ პაპენი, 1992 — მარკო ვან ბასტენი, 1993 — რობერტო ბაჯო, 1994 — პაოლო მალდინი, 1995 — ჯანლუკა ვიალი, 1996-97 — რონალდო, 1998 — ზინედინ ზიდანი, 1999 — რივალდო, 2000 — ფიგუ, 2001 — მაიკლ ოუენი, 2002 — რონალდო.

***წლის საუკეთესო გუნდი:*** 1982 — ბრაზილია, 1983 — „ჰამბურგი“, 1984 — საფრანგეთი, 1985 — „ევერტონი“, 1986 — არგენტინა, 1987 — „პორტუ“, 1988 — ჰოლანდია, 1989 — „მილანი“, 1990 — გფრ, 1991 — საფრანგეთი, 1992 — დანია, 1993 — „პარმა“, 1994 — „მილანი“, 1995 — „აიაქსი“, 1996 — ნიგერია (ოლიმპიური), 1907 — „დორტმუნდი“, 1998 — საფრანგეთი, 1999 — „მანჩესტერ იუნაიტედი“, 2000 — საფრანგეთი, 2001 — „ლივერპული“, 2002 — ბრაზილია.

***წლის საუკეთესო მწვრთნელი:*** 1982 — ენცო ბეარზოტი, 1983- — პიონტეკი, 1984 — მიშელ იდალგო, 1985 — ტერი ვენეიბლსი, 1986 — გი ტისი. 1987 — იოჰან კრუიფი. 1988 — რინუს მიხელსი, 1989 — არიგო საკი, 1990 — ფრანც ბეკენბაუერი, 1991 — მიშელ პლატინი, 1992 — რიჰარდ მიოლერ ნილსენი, 1993 — ალექს ფერგიუსონი. 1994 — კარლოს ალბერტო პერეირა, 1995 — ლუი ვან გაალი, 1996 — ბერტი ფოგთსი, 1997 — ოტმარ ჰიტცფელდი, 1998 — არსენ ვენგერი, 1999 — ალექს ფერგიუსონი, 2000 — დინო ძოფი, 2001 — ჟერარ ულიე, 2002 — გუუს ჰიდინკი.

# ტრაგედია 20 წლის წინათ დატრიალდა...

მას კიდევ ბევრჯერ შეეძლო გაეხარებინა ქართველი გულშემატკივარი და მრავალი ისეთი დაუვიწყარი წუთი ეჩუქებინა, როგორც ეს 1981 წლის 13 მაისის განუმეორებელ საღამოს გააკეთა გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ ცხრა ათასი მაყურებლის და მილიონობით ტელემაყურებლის წინაშე.

დრამატიზმით აღსავსე, შეუპოვარი მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მან სასწაული მოახდინა, ულამაზესი და, რაც მთავარია, ურთულესი „სლალომით“ ჩამოიტოვა რამდენიმე მეტოქე და მარცხენა ფეხით გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. „ვიგრძენი, რომ სწორედ იმ მომენტში უნდა დამერტყა“, — იტყვის შემდეგ ფეხბურთის დიდი ოსტატი. ეს იყო საუკეთესო გოლი მის ხანმოკლე ცხოვრებაში, ქართველებისათვის კი, — საუკუნის გოლი, როგორც მას ცნობილმა ხუროთმოძღვარმა ელგუჯა ამაშუკელმა უწოდა.




თბილისში დაბრუნებულ ვიტალი დარასელიას აეროპორტში ერთ-ერთი გულშემატკივარი ფეხზე შემოეხვია და კოცნა დაუწყო. მან ფეხბურთის მილიონობით ქომაგის სახელით ასე გამოხატა აღფრთოვანება აღიარებული კერპისადმი.

ვიტალი დარასელია 1974 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, 1980 წელს — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, 1978 წელს — სსრ კავშირის ჩემპიონი, 1976 და 1979 წლებში — სსრ კავშირის თასის, 1976, 1977, 1981 წლებში — ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების, 1979 წელს — სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ვერცხლის მედლის მფლობელი.

სსრ კავშირის ჩემპიონატში ჩაატარა 192 კალენდარული მატჩი და გაიტანა 26 ბურთი, იგი ხუთჯერ დაასახელეს ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, მათ შორის 1981 წელს — პირველ ნომრად.

1981 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

1982 წელს მონაწილეობდა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში.

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ რაც, სურამის უღელტეხილზე, სოფელ უბისასთან აღესრულა ფეხბურთის ჭეშმარიტი რაინდის — ვიტალი დარასელიას სიცოცხლე. იმ საბედისწერო სუსხიან დღეს მისი მანქანა დიდი სიმაღლიდან მდინარე ძირულას მორევში გადაეშვა. ვიტალი იმ დროს წავიდა ამქვეყნიდან, როცა ყველაზე ძალიან სჭირდებოდა ოჯახს, ახლობლებს და, რასაკვირველია, იმ დროს კრიზისში მოქცეულ მის გუნდს თბილისის „დინამოს“.

ხანმოკლე კარიერის მანძილზე ბევრის გაკეთება მოასწრო, რითაც გულშემატკივრის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა, უფრო მეტი გასაკეთებელი დარჩა. მართლაც რომ, დიდი ფეხბურთელისთვის საჭირო ყველა თვისებით იყო დაჯილდოებული. სამწუხაროდ, მისი ტალანტი სრულად ვერ გამომჟღავნდა...



დღეს „ეროვნულ“ სტადიონზე შეიკრიბებიან ვიტალი დარასელიას მეგობრები, ახლობლები, ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ კი ზურაბ მიქავა, რომელიც დიდი ფეხბურთელის ბავშვობის მეგობარი იყო. უმცროს ვიტალი დარასელიას უსახსოვრებს თავის ხელით მუყაოს ფირფიტებისგან აწყობილ ბურთს, რომლის კვადრატებშიც ასახულია ვიტალი დარასელიას ცხოვრების ყველაზე სამახსოვრო ეპიზოდები.

**ლაშა გოგია**

*სურათზე: ზურაბ მიქავა ვიტალი დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი მის მიერვე დამზადებული ილუსტრირებული ბურთით.*

## ანდრეი შევჩენკო შესაძლოა „მანჩესტერ იუნაიტედში“ აღმოჩნდეს

მომავალი წლის ზაფხულში, შესაძლოა „მილანის“ ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდეს. ფეხბურთელის აგენტმა ოსკარ დამიანიმ განაცხადა, რომ ეს ტრანსფერი სავსებით რეალურია. „მილანიდან“ შევჩენკოს წასვლაზე მას შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი, რაც გუნდის მთავარ მწვრთნელ კარლ ანჩელოტის უკრაინელი ფორვარდი არცთუ ხშირად გამოჰყავს ძირითად შემადგენლობაში. თვით შევჩენკოს „მილანის“ დატოვება არ სურს.




## რუსეთი ევრო-2008-ის გარეშე დარჩა

### 6 წლის შემდეგ ევროპულ პირველობას შვეიცარიელები და ავსტრიელები უმასპინძლებენ

უეფამ გადაწყვიტა, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ჩატარდება შვეიცარია — ავსტრიაში. ამრიგად, რუსეთის ცდა, მიეღო ამ მეტად მნიშვნელოვანი შეჯიბრების ჩატარების უფლება, უშედეგო გამოდგა. შეგახსენებთ, რომ ევრო-2008-ის მასპინძლობის უფლების მისაღებად იბრძოდა კანდიდატი ქვეყანა, თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ძირითადი პაექრობა რუსეთსა და ავსტრია-შვეიცარიის გაერთიანებას შორის შედგებოდა. მოხდა ისე, რომ უეფას აღმასკომის წევრებს გუშინდელ სხდომაზე რუსეთის საკითხი არც განუხილავთ, ისე „გადადეს“ მისი კანდიდატურა გვერდზე. როგორც შევიტყვეთ, რუსები ახლა ევრო-2012-ის მასპინძლობისათვის ბრძოლის დაწყებას აპირებენ.

# ცალთვალა მეკარე ანუ აუღებელი ციხე-სიმაგრე

**მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები**

ინგლისელები გორდონ ბენქსს მეოცე საუკუნის საუკეთესო მეკარედ მიიჩნევენ და დასძენენ, რომ 1966 წელს ინგლისის ნაკრების გაჩემპიონებაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. მხოლოდ ლეგენდარულ რუს მეკარე ლევ იაშინს თუ შეუძლია გაუწიოს მეტოქეობა — ასეთია ბრიტანელი ფეხბურთის სპეციალისტებისა თუ მიმომხილველების დასკვნა. გორდონ ბენქსი 1937 წელს დაიბადა ინგლისის ქალაქ შეფილდში. შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების წყალობით — სიმაღლე 183 სმ, წონა — 85 კგ. თავიდანვე მეკარის ამპლუა ამჯობინა. 18 წლის ასაკში იგი პროფესიულ ინგლისურ კლუბ „ჩესტფილდის“ ღირსებას იცავდა, შემდეგ გამოდიოდა „ლესტერში“ 1959-დან 1967 წლამდე, საფეხბურთო კარიერა კი ინგლისში დაასრულა ცნობილი კლუბის „სტოკ-სიტის“ შემადგენლობაში 1972 წელს. სულ ინგლისის ჩემპიონატების 510 მატჩში მიიღო მონაწილეობა, ამას გარდა 1964 და 1972 წლებში ინგლისის ლიგის თასის მფლობელი გახდა. ინგლისის ნაკრებში ჩატარებულ 73 მატჩში გაუშვა 57 გოლი. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, როგორც ზემოთ ითქვა, იგი იცავდა მსოფლიო ჩემპიონის ღირსებას. ამის შემდგომ ბენქსი გადაბარგდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და გამოდიოდა „ფორტლიდერდეილის“ შემადგენლობაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 73 მატჩში მან სულ 9 გოლი გაუშა და სამართლიანადაც უწოდეს აუღებელი ციხე-სიმაგრე.

საერთო ჯამში ერთ მატჩში გაშვებული 0,78 გოლი — ფანტასტიკური მაჩვენებელია დღევანდელი ფეხბურთისთვისაც კი. ინგლისის ჩემპიონატების ისტორიაში მასვე ეკუთვნის მეკარეთა რეკორდი — 35 მატჩში ბურთი არ გაუშვია საკუთარ კარში. ინგლისის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბენქსმა ასევე მშრალად შეინარჩუნა საკუთარი კარი ნახევარფინალამდე, მხოლოდ 443-ე წუთზე შეძლო „შავ ავაზად“ წოდებულმა ეუსებიომ ბენქსის კარის აღება და ისიც 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან. ასევე ტრიუმფალური გახლდათ ბენქსის მიერ ინგლისის ნაკრების კარის დაცვა მექსიკის 1970 წლის ჩემპიონატზე, სადაც მან შეძლო აეღო პელეს მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი და იმ წუთში თვით „ფეხბურთის მეფის“ ტაშიც დაიმსახურა. როგორც კი პელე ჟაირზინიოს მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებულ მაღალ ბურთს თავით შეეხო, შესძახა — გოოლ!.. იმდენად იყო დარწმუნებული ინგლისელთა კარის აღებაში, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, ბენქსმა შეუძლებელი შეძლო, ბურთს თითის წვერებით მისწვდა და კარის ძელიდან ასხლეტილი კუთხურზე გავიდა. ეპიზოდის ამსახველმა ფოტომ შემოიარა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სპორტული გამოცემები. შემდგომ პელემ არაერთგზის აღნიშნა, რომ ბენქსის ნახტომი „უდიდესი რამ იყო“ ფეხბურთის ისტორიაში. ის ფაქტი, რომ ინგლისელებმა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ შეძლეს ტიტულის შენარჩუნება, ბენქსის ავადმყოფობა იყო. მეოთხედფინალურ მატჩს გერმანელებთან იგებდნენ რა ანგარიშით 2-0, დამატებით დროში დათმეს — 2-3, რაშიაც ბრალი ბენქსის შემცვლელს, „ჩელსის“ მეკარე პიტერ ბონეტის მიუძღოდა. ბენქსის ავადმყოფობის გამო, იმ დროს გაჩნდა ეჭვები დივერსიაზე, მაგრამ სათანადო ფაქტების უქონლობის გამო ეს ეჭვი დავიწყებას მიეცა. ბენქსს კი სამშობლოში დაბრუნებისთანავე გადასცეს ბრიტანეთის იმპერიის ორდენი.




მსოფლიო აღიარებას იგი შემთხვევას უნდა უმადლოდეს... ერთხელ, შეფილდის ერთ-ერთი ახალგაზრდული გუნდის მატჩისას მეკარე არ გამოცხადდა და კარის დაცვა, ყოველ შემთხვევისთვის, ბენქსს მიანდეს. მისი ყურადღება მიიპყრეს იორკშირის ლიგის კლუბ „რომარშის“ მესვეურებმა, პირველი ნაბიჯები ბენქსისთვის კატასტროფული იყო — პირველ ორ მატჩში 15 ბურთი გაუშვა და კლუბიც იძულებული გახდა, უკან გაეშვა. მიუხედავად ამისა, ბედმა არ გასწირა და 1955 წელს კვლავ იქნა მიწვეული მესამე ლიგის კლუბ „ჩესტერფილდში“, სადაც სულ რაღაც 2 ფუნტ სტერლინგს უხდიდნენ ერთ თამაშში. მერე გაიწვიეს ინგლისის მოქმედ არმიაში და იქიდან დაბრუნებული იმავე კლუბში აგრძელებს თამაშს პროფესიონალი ფეხბურთელის სტატუსით. ორი წლის შემდეგ კი იგი 7000 ფუნტ სტერლინგად „ლესტერმა“ შეიძინა, სადაც ბენქსმა 293 მატჩი ითამაშა და 1964 წელს მოიგო ლიგის თასი. ასეთივე წარმატებით გააგრძელა თავისი კარიერა „სტოკ სიტის“ შემადგენლობაში, სადაც ინგლისის 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გადავიდა. ბენქსის კარიერის დასრულებაში, ისევე როგორც მის დაწყებაში, დიდი როლი ითამაშა შემთხვევამ. — 1972 წელს იგი მოჰყვა საშინელ ავტოკატასტროფაში და დაკარგა მარჯვენა თვალი. მიუხედავად ამისა, ბენქსი კარიერას ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრძელებს და 1977-78 წლების სეზონის შედეგებით ლიგის საუკეთესო მეკარის წოდებასაც კი იმსახურებს.. მერე მშობლიურ ინგლისში ბრუნდება და ფეხბურთის მოყვარულთა სათაყვანებელი კერპი ხდება. ძველი პარტნიორები ხშირად იგონებენ სიტყვებს, რომელიც მთელ ბრიტანეთს ეკერა პირზე: „ბენქსი ისე საიმედოდ იცავს კარს, როგორც ინგლისის ბანკები ჩვენს დანაზოგს“.

ლეგენდარული გორდონ ბენქსი ხშირადაა სხვადასხვა საზეიმო ცერემონიალების საპატიო სტუმარი და ყველგან, სადაც კი გამოჩნდება, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ხვდება.

**დემურ ტორაძე**

# 33 საუკეთესოთა შორის...

**ეს ჩვენი საფეხბურთო ისტორიაცაა**

**ვაგრძელებთ პუბლიკაციას თუ როგორ იყვნენ წარმოდგენილი სხვადასხვა წლებში, საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში თბილისის „დინამოსა“ და, საერთოდ, საქართველოს ფეხბურთელები.**

### 1972 წელი

*მარჯვენა მცველები:* 1. **რევაზ ძოძუაშვილი** („დინამო“, თბილისი), 2. სერგეი დოცენკო („დინამო“, კიევი), 3. ბორის სეროსტანოვი (სკა, როსტოვი);
*ცენტრალური მცველები:* 1. **მურთაზ ხურცილავა** („დინამო“, თბილისი), 2. ალექსანდრე ქურავლიოვი („ზარია“, ვოროშილოვგრადი), 3. ვიქტორ ზვიაგინცევი (ცსკა, მოსკოვი);
*მარჯვენა ნახევარმცველები:* 1. ვლადიმერ მუნტიანი („დინამო“, კიევი), 2. ვიქტორ კუზნეცოვი („ზარია“, ვოროშილოვგრადი), 3. **მანუჩარ მაჩაიძე** („დინამო“, თბილისი);
*მარჯვენა თავდამსხმელები:* 1. **ვლადიმერ გუცაევი** („დინამო“, თბილისი), 2. იური სმირნოვი („ტორპედო“, მოსკოვი), 3. იური ჩესნოკოვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი);
*ცენტრალური თავდამსხმელები:* 1. ანატოლი პუზაჩი („დინამო“, კიევი), 2. **გივი ნოდია** („დინამო“, თბილისი), 3. ანატოლი ზინჩენკო („ზენიტი“ ლენინგრადი).

### 1973 წელი

*მარჯვენა მცველები:* 1. **რევაზ ძოძუაშვილი** („დინამო“, თბილისი), 2. სურიკ მარტიროსიანი („არარატი“, ერევანი), 3. ვლადიმერ ბასალაევი („დინამო“, კიევი);
*ცენტრალური მცველები:* 1. **მურთაზ ხურცილავა** („დინამო“, თბილისი), 2. სერგეი ოლშანსკი („სპარტაკი“, მოსკოვი), 3. ვიქტორ ზვიაგინცევი („შახტიორი“ დონეცკი);
*ცენტრალური ნახევარმცველები:* 1. არკადი ანდრიასიანი („არარატი“, ერევანი), 2. **მანუჩარ მაჩაიძე** („დინამო“, თბილისი) 3. ვიქტორ კოლოტოვი („დინამო“, კიევი);
*ცენტრალური თავდამსხმელები:* 1. ანატოლი კოჟემიაკინი („დინამო“, მოსკოვი), 2. ედუარდ მარქაროვი („არარატი“, ერევანი), 3. **გივი ნოდია** („დინამო“, თბილისი);
*განაპირა თავდამსხმელები:* 1. ოლეგ ბლოხინი („დინამო“, კიევი), 2. გენადი ევრიუჟიხინი („დინამო“, მოსკოვი), 3. **დავით ყიფიანი** („დინამო“, თბილისი);

### 1974 წელი

*განაპირა მცველები:* 1. ვლადიმერ ტროშკინი („დინამო“, კიევი), 2. გენადი ლოგოფეტი („სპარტაკი“, მოსკოვი), 3. **რევაზ ძოძუაშვილი** („დინამო“, თბილისი);
*ცენტრალური ნახევარმცველები:* 1. ვიქტორ კოლოტოვი („დინამო“, კიევი), 2. **მანუჩარ მაჩაიძე** („დინამო“, თბილისი), 3. ოგანეს ზანაზანიანი („არარატი“, ერევანი);

### 1975 წელი

*თავდამსხმელები:* 1. ვლადიმერ ვერემეევი („დინამო“, კიევი); 2. ბორის კოპეიკინი (ცსკა, მოსკოვი), 3. ***დავით ყიფიანი*** („დინამო“, თბილისი).

ქვეყნდება დურმიშხან ცინცაძის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, მისივე რედაქციით.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“ №88-96

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რომელი წლიდან გამოდის გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლი“?***
ა) 1958 წლიდან
ბ) 1960 წლიდან
გ) 1961 წლიდან

***2. რომელ გუნდში მუშაობდა მწვრთნელად გავრილ კაჩალინი 1965 წლებში.***
ა) მოსკოვის „სპარტაკში“
ბ) მოსკოვის „დინამოში“
ვ) თბილისის „დინამოში“

***3. რომელ წელს მიიღეს ფეხბურთის საერთაშორისო წესები პირველად?***
ა) 1863 წელს
ბ) 1865 წელს
გ) 1866 წელს

***4. სად და რომელ წელს გაიმართა პირველი საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი?***
ა) 1871 წელს ლონდონში
ბ) 1872 წელს გლაზგოში
გ) 1872 წელს ბელგიაში

***5. რომელ წელს შეიქმნა ფიფა?***
ა) 1900 წელს
ბ) 1903 წელს
გ) 1904 წელს

პასუხები იხ. მე-6 გვ.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №7 (28) დეკემბერი, 2002 წელი

# საშობაო ტურნირი ფედერაციის „პრეზიდენტის თასზე“



საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია 2002 წელს საზეიმოდ, საშობაო ტურნირით დაამთავრებს, სადაც ფედერაციის პრეზიენტის თასი გათამაშდება და წლის საუკეთესოთა შორის, საუკეთესო სპორტსმენებიც გამოვლინდება.

საშობაო ტურნირში წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულისათვის იბრძოლებენ მხოლოდ 2002 წლის შეჯიბრებების გამარჯვებულები და პრიზიორები, რომლებიც არიან საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის სპორტსმენები. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამ სპორტსმენებმა იასპარეზეს: თბილისის ღია პირველობაზე მოზარდთა შორის, რომელიც 17 მარტს თბილისში გაიმართა, 21 აპრილს გორში გამართულ საქართველოს პირველობაზე კარატე-დოში, 12 მაისის ისან-სამგორის ღია ჩემპიონატზე, თბილისში, 18-19 მაისს ჩატარებულ კლუბ „ტაძრის“ ღია პირველობაზე, „ფაზისის თასი 2002“-ის რესპუბლიკურ ტურნირში, რომელსაც ფოთმა უმასპინძლა, შოტოკან კარატე-დოს „მსოფლიო თასისთვის“ მოასპარაზე კარატისტები, რომელიც 23-25 აგვისტოს გერმანიის ქალაქ ლიუბეკში გაიმართა, 26-28 სექტემბერს ევროპის მე-10 ჩემპიონატი ვადო კარატე-დოში, ირლანდია, დუბლინი, რიგით მე-6 მსოფლიო ჩემპიონატში შოტოკან კარატე-დოში რომელსაც 14-20 ოქტომბერს გერმანიის ქალაქი სტრალზუდი მასპინძლობდა, შემდეგი ჩემპიონატი 26-27 ოქტომბერს თბილისში გაიმართა - საქართველოს ღია ჩემპიონატი კარატე-დოში, 16-17 ნოემბერს კი კლუბ „გვარდიის“ პირველობას უმასპინძლა თბილისმა. სწორედ ამ ჩემპიონატებისა და ტურნირების ჩემპიონ-პრიზიორები შეერკინებიან ერთმანეთს 21-22 დეკემბერს წლის საუკეთესო კარატისტის ტიტულის მოსაპოვებლად. სპორტსმენებთან ერთად გამოვლინდებიან საუკეთესო ინსტრუქტორებიც.

ტურნირში 150-მდე გამოცდილი სპორტსმენი იასპარეზებს, რაც მას სანახაობრივად საინტერესოს გახდის. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატზე ახალი გვარ-სახელები გამოჩნდა და ეს კი, თავისთავად, იმაზე მიგვითითებს, რომ დღითი-დღე იზრდება კარატეს დონე და პოპულარობა საქართველოში.

მაშ ასე, ვნახოთ, ვინ იქნებიან წლის საუკეთესო კარატისტები და ინსტრუქტორები.

## ყურადღება!

20 დეკემბერს, 17 საათზე, შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალურ დარბაზში (არმიის სპორტის კომპლექსი მე-3 სართული) საქართველოს, კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია მოაწყობს მსაჯთა სემინარს.

სემინარს ჩაატარებს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, მე-6 დანის მფლობელი, აღმოსავლეთ-ევროპის შოტოკან კარატე-დოს ასოციაციის შეფ-ინსტრუქტორი, კახა ბასილია

**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ინსტრუქტორებისთვის დასწრება სავალდებულოა!**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალურ ოფისს, მისამართი: თბილისი დ. უზნაძის ქ. №6

ტელ./ფაქსი: 96-31-89





## საშობაო ტურნირი ფედერაციის "პრეზიდენტის თასზე" დებულება

**ორგანიზატორები:**

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი

სააქციო საზოგადოება „გამაბანკი“

**შეჯიბრის მიზანი და ამოცანები:**

კარატე-დოს პოპულარიზაცია და პროპაგანდა საქართველოში

სპორტსმენთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება.

საუკეთესო სპორტსმენთა გამოვლენა.

**შეჯიბრში მონაწილეობის პირობები:**

2.1 შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 2002 წლის ტურნირებსა და ჩემპიონატებზე გამარჯვებულ და პრიზიორ სპორტსმენებს, რომლებიც ირიცხებიან საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში.

2.2. შეჯიბრში მონაწილეობა უფასოა.

2.3 შეჯიბრი გაიმართება ინდივიდუალურ კუმიტესა და კატაში, გოგონებსა და ვაჟებში.

2.4. მონაწილეობისათვის საჭიროა წარედგინოს „ბუდო“ პასპორტი ან დაბადების მოწმობის დედანთან ერთად შემდეგი სახის განაცხადი:

სპორტსმენის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი თვე და რიცხვი, ასპარეზობის სახეობა, კვალიფიკაცია, ექიმის ვიზა და ინსტუქტორის გვარი და სახელი.

2.5 პუნქტი 2.4-ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მონაწილე არ დაიშვება შეჯიბრზე.

2.6. განაცხადი დაბადების მოწმობის დედანთან (ან „ბუდო“ პასპორტთან) ერთად უნდა წარადგინოთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალურ ოფისში (თბილისი, დ. უზნაძის ქ. 6. ფაქსი: 96-31-89) ა.წ. 20 დეკემბრამდე.

**ასპარეზობის კატეგორიები:**

ასპარეზობა გაიმართება ასაკობრივ კატეგორიებში კატასა და კუმიტეში.

**ინდივიდუალური კატა (გოგონები და ვაჟები):**

ა) 8-9 წლები; ბ) 10-11 წლები; გ) 12-13 წლები;

დ) 14-15 წლები; ე) 16-17 წლები; ვ) 18 წელი და ზევით.

**ინდივიდუალური კუმიტე (გოგონები და ვაჟები):**

ა) 8-9 წლები; ბ) 10-11 წლები; გ) 12-13 წლები;

დ) 14-15 წლები; ე) 16-17 წლები; ვ) 18 წელი და ზევით.

ასპარეზობა კატასა და კუმიტეში გაიმართება მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის (W.S.K.F.) წესების მიხედვით.

12 წლამდე ასაკის სპორტსმენები ასრულებენ I-V ხეანს, ხოლო 12 წლის ზევით სავალდებულოა შემდეგი კატები: „ჯიონ“, „ენპი“, „კანკუდაი“,„ბასაიდაი“.

**მსაჯობა**

შეჯიბრს მოემსახურება საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის მიერ ატესტირებული მსაჯთა კომისია და ბრიგადა.

შეჯიბრის მთავარ მსაჯს წარმოადგენს მსაჯთა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, აღმოსავლეთ-ევროპის შეფ-ინსტრუქტორი, მე-6 დანის მფლობელი, ბატონი კახა ბასილია.

მსაჯობის შესახებ პრეტენზია წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს მსაჯთა კომისიის თავმჯდომარეს ტურნირის მსვლელობის პერიოდში.

**შეჯიბრის ჩატარების დრო და ადგილი:**

შეჯიბრი გაიმართება მიმდინარე წლის 21 (შაბათი) – 22 (კვირა) დეკემბერს, დილის 10.00 საათიდან. მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა 2, არმიის სპორტული კომპლექსი, მე-3 სართული, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური დარბაზი.

შეჯიბრის საზეიმო გახსნა გაიმართება კვირას, 15 საათზე, სადაც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის დირექტორატის მიერ დასახელებულნი იქნებიან 2002 წლის საუეკთესო სპორტსმენების, ინსტრუქტორების, კლუბებისა და მსაჯების სია, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

**2002 წლის გამარჯვებულთა და პრიზიორთა სია:**

**ინსტრუქტორი ბესიკ ხუციშვილი** (თბილისი)

გიორგი ლოხიშვილი
გური ქოიავა
ლევან გორელაშვილი
ალექსანდრე ჟამურაშვილი
ბექა ხმალაძე
გიორგი ჯიბლაძე
თორნიკე ჯიბლაძე
გოგიტა ტატუაშვილი
დავით აბრამიშვილი
არჩილ გულმაგარაშვილი
გიორგი გვარამაძე
ცოტნე ლიპარტელიანი

**ინსტრუქტორი ვაჟა კრიჭაშვილი** ( თბილისი)

ქეთინო გოგბერაშვილი
ეთერ გავაშელი
ჟანა ჭუბაბრია
თენგიზ კვერცხიშვილი
გიგა ლაპიაშვილი
ანა თავაძე
ვანო გამდლიშვილი
ალეკო ბერინაშვილი

**ინსტრუქტორი კობა ცერცვაძე** ( თბილისი)

აჩიკო თაბუკაშვილი
დავით ტყებუჩავა
ირაკლი ტყებუჩავა
ავთო ადეიშვილი
ბექა არახამია
აკაკი ემნაძე
ავთო ჩულაშვილი
ნიკა კილაძე
დავით ბიწაძე
გიორგი კანდელაკი
გუჯა კვარაცხელია
ვლადი გაბუნია

**ინსტრუქტორი პაატა მასხულია** (თბილისი)

არჩილ კობაიძე
ზურაბ ლალიძე
თენგიზ ტოროშელიძე
პაატა გურული
შოთა გოგიძე

Gammabank
Joint stock Company
Commercial Bank

არტურ ამბარცუმიანი
ჯუმბერ ყანდარელი
ვახტანგ მუჩიაშვილი
გიორგი გურული
დიმიტრი გიუნაშვილი

**ინსტრუქტორი ვეფხია ხუცინაშვილი** (გორი)
სულიკო კაკაშვილი
გარსევან ადამიანი
აჩიკო მაყაშვილი
გიორგი გოლოშვილი
ლევან ხუციშვილი
თეონა გიორგალაშვილი
ნინო გოგიჩაიშვილი
გიორგი კოპაძე
გიორგი ფოცხვერაშვილი
გიორგი მამიჯანაშვილი
არტურ არუთინიანი
მამუკა მელიქიშვილი
ვალერი უკანწყაროელი

**ინსტრუქტორი ვაჟა უნგიაძე** (ქუთაისი)
ალექსი გოგოლაშვილი
ირაკლი კირკიტაძე
თემურ ჯოხაძე
გიორგი კოხრეიძე
ბექა კუხიანიძე
იუზა შენგელია
დავით ჭელიძე
ალექსი აფციაური
გიორგი ჩაკვეტაძე
ნიკა მირცხულავა

**ინსტრუქტორი ბაჩუქ სულამანიძე** (ფოთი)
1. კახა ხაბეიშვილი
2. ნათია სულამანიძე
3. თეონა სულამანიძე
4. ჰენრი ვეკუა
5. ანა ძაძამია
6. უჩა კვარაცხელია
7. იაგო სორდია
8. ბექა შონია
9. თორნიკე მარგალიტაძე
10. ვლადიმერ ტრუბჩანინოვი
11. ლაშა კვირაია

**ინსტრუქტორი მალხაზ პაჩქორია** (ზუგდიდი)
არჩილ თოფურია
გიორგი ჩუხუა
ჭაბუკა კიკალიშვილი
დავით ფარჯიკია
ნიკა ნაჭყებია
ზაალ ფალავა
ინგა ქანთარია
სვეტა ფრუიძე
რომეო აქუბარდია

**ინსტრუქტორი ზვიად ბექაური** (გორი)
ლევან ტაბატაძე

**ინსტრუქტორი ნოდარ ხაჯიშვილი** (ბათუმი)
სოსო გაბელია
გელა გორგილაძე
რომან ფუტკარაძე
ზურა ბაკურაძე
გიორგი ლოლობერიძე

**ინსტრუქტორი თამაზ ბუთხუზი** (თბილისი)
ნინო ჯალალონია
ოთარ უტარაშვილი

**ინსტრუქტორი ბადრი ხვადაგიანი** (თბილისი)
გივი სანიკიძე

**ინსტრუქტორი ზურაბ დოლაბერიძე** (თბილისი)
გიორგი დოლაბერიძე

**ინსტრუქტორი გოჩა სარქისაშვილი** (თბილისი)
კოტე გახარია
ირაკლი ბურაშვილი
ლევან გურგენიძე
ლევან ლომიძე
აკაკი ლომიძე
ლექსო რუხაძე

**ინსტრუქტორი ალეკო მანძულაშვილი** (კასპი)
ნინო პატაშური
ლევან ბერიანიძე

**ინსტრუქტორი მერაბ წემერტელიძე** (თბილისი)
ჭაბუკა გაგნიძე
გიორგი ბაბალაშვილი
სანდრო მაჭავარიანი
გიორგი თეთრაძე
დათო გობეჯიშვილი

**ინსტრუქტორი ზურა ქოსაშვილი** (თბილისი)
ჯუმბერ ჯოჯუა
ნინო ჯოჯუა
კარენა კაზაზბაშიანი

**ინსტრუქტორი ზურა მესხი** (თბილისი)
გიორგი გურეშიძე
დოდო სალაყაი

**ინსტრუქტორი მამუკა ქუზანაშვილი** (თბილისი)
გაიანე თამაზოვი
სერო ჯანაშია
ლაშა აბრამიშვილი
გიორგი ხუფენია
ლილი რობაქიძე

**ინსტრუქტორი სერგო ქოჩორაშვილი** (თბილისი)
გიორგი ქოჩორაშვილი

**ინსტრუქტორი გოჩა ოსიაშვილი** (თბილისი)
ნონა მერაბიშვილი
დავით ქავთარაძე

**ინსტრუქტორი რამაზ სახვაძე** (თბილისი)
სემი მანაშეროვი
ანანო ქოიავა
ნინელი თავაძე
ნიკა სახვაძე
გიორგი ხიზანიშვილი

**ინსტრუქტორი ზვიად ზვიადაური** (თბილისი)
ლაშა ჯანგავაძე
ქეთინო სიხარულიძე
ოთიკო ჯაჭვაძე
სერგო ოგანესიანი
მეგი ხორავა
დავით გიქორაშვილი

**ინსტრუქტორი დიმიტრი ციქაბერიძე** (თბილისი)
დიმიტრი ჯიქია
ლოლიტა ზანგალაძე
გიორგი კაპატაძე

**ინსტრუქტორი კახა ქუთათელაძე** (თბილისი)
ლევან გელდიაშვილი
თორნიკე ჩაჩანიძე
გიორგი ბებიაშვილი

**ინსტრუქტორი მერაბ თურქია** (ლანჩხუთი)
არჩილ იმნაძე
ნათია თურქია
თათია თურქია
თამუნა სალუქვაძე
სოფიკო ურუშაძე
მადონა გურგენიძე
ირაკლი ებრალიძე

**ინსტრუქტორი ჭაბუკა მახარაძე** (თბილისი)
ჭაბუკა მახარაძე
შოთა ნახარაძე
გიორგი მიქაძე

**ინსტრუქტორი ირაკლი ცინცაძე** (თბილისი)
1. გივი ყანჩაველი

**ინსტრუქტორი მერაბ აბრამიშვილი** (თბილისი)
1. სერგო კულიანი


# ენდეთ პროფესიონალებს და იცხოვრეთ მშვიდად - „დელტა“

## უშიშროების სამსახური „დელტა“



## პრეზიდენტი კახა ბასილია

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი, პოლკოვნიკი;
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი;
მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი;
კავკასიის კაზაკთა კავშირის ატამანის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი;
მსოფლიოს ჩემპიონი კარატე-დოში;
წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფოს პირველი პირების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების პირად დაცვაში საქართველოსა და უცხოეთში;
მონაწილეობდა ცხელ წერტილებში სპეციალური ოპერაციების განხორციელე-ბაში;
დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და მედლით მხედრული მამაცობისთვის;
მიღებული აქვს ეკონომისტის და იურისტის განათლება.

### პროფესიონალთა მომზადების სპეციალური სკოლა



სკოლა „დელტა" ახორციელებს კერძო მცველის მომზადებას და გასცემს საერთაშორისო დიპლომს;
სწავლება სკოლაში ხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება.
შეისწავლება შემდეგი საგნები:
_ სამართალი;
_ სპეციალური მომზადება;
_ ტექნიკური მომზადება;
_ საცეცხლე მომზადება;
_ ფიზიკური მომზადება;
_ ხელჩართული ბრძოლა;
_ ფსიქოლოგიური მომზადება;
_ სამედიცინო მომზადება;
_ უცხო ენა;
_ ჩვენთან შეგიძლიათ გაიაროთ 4 და 6 კვირიანი სპეც-კურსები.
სწავლა მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.
სწავლა ფასიანია
სწავლის საფასური შედგება კურსის მომზადების დონიდან გამომდინარე, 200 ლარიდან ზევით.

### უშიშროების სამსახურის „დელტას" მომსახურება

უშიშროების სამსახური „დელტა" გთავაზობთ შემდეგი შემდეგი სახის დაცვას: კომპანიების ხელმძღვანელების პირადი დაცვა, ბანკების, ორგანიზაციების, საწარმოების ბიზნესმენების და მათი ოჯახის წევრების დაცვა.
ოფისების ობიექტების, ბანკების, სასაწყობო შენობების, მშენებარე ობიექტების, გასართობი კომპლექსების, ქალაქგარე სახლებისა და ობიექტების დაცვა. უშიშროების კომპლექსური მეთოდების დამუშავებით (ბანკების, სახლების, წარმოებების და ა.შ.).

**გამოიყენება სამსახურეობრივი ძაღლები**
მასიური ღონისძიებების, კონცერტების, პრეზენტაციების დაცვა;
ტვირთების გაცილება;
ბანკებისა და სავალუტო პუნქტების დაცვა;
ფიზიკური პირების დაცვა;
დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს;
ოჯახის წევრების ევაკუაცია;
კონფლიქტების განმუხტვა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით;
კომპანიის ხელმძღვანელობის და მისი ოჯახის დაცვა;
კომპანიის ხელმძღვანელების სამგზავრო მარშრუტების დამუშავება უსაფრთხოების მიზნით;
ოპერატიული რეაგირება კლიენტის თხოვნისას და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა, როდესაც კლიენტს პრობლემები აქვს არაფორმალურ დაჯგუფებასთან. ამასთანავე სწრაფი რეაგირების ჯგუფის გასვლა შემთხვევის ადგილზე დღე-ღამის განმავლობაში.

*ჩვენი მისამართია: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. № 6*
*ტელ/ფაქსი: 96-31-89*


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონთა ლიგაში არდადეგები დაიწყო

ჩემპიონთა ლიგის საშემოდგომო-საზამთრო ეტაპი მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის მატჩებით დასრულდა. მაინც რით ხვდება ლიგა ახალ 2003 წელს? — ვარსკვლავებით დაკომპლექტებული და დამაჯერებლად მოთამაშე „მილანით“, რომელმაც მადრიდის „რეალის“ შემდეგ სტუმრად მოუგო დორტმუნდის „ბორუსიას“. რაც შეეხება ფავორიტად შერაცხულ მადრიდის „რეალს“, ამ უკანასკნელმა მოსკოვის „ლოკომოტივთანაც“ კინაღამ წააგო, თუმცა ქულის გადარჩენა შეძლო (2-2) მატჩის დამატებულ წუთზე რკინიგზელი ობორა ესპანელთა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ... გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა... ცხადია, ამგვარი თამაშით ესპანელები მეოთხედფინალში ვერ გააღწევენ.

ტურინის „იუვენტუსმა“ შვეიცარიული „ბაზელი“ გაანადგურა, რომლისგან სასწაულებს ნამდვილად აღარ მოელიან. „ნიუკასლმაც“ მებრძოლი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, ამჯერად ინგლისელები „ბარსელონასთან“ დამარცხდნენ, თუმცა ყველამ კარგად იცის, რომ „ნიუკასლს“ სიტუაციის გამოსწორება თუ არა, კარის „გაჯახუნება“ ნამდვილად ძალუძს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს დანარჩენმა ინგლისურმა კლუბებმა.


მანჩესტერი – დეპორტივო

განსაკუთრებით, ეს ითქმის „მანჩესტერ იუნაიტედზე“, რომელმაც ოთხშაბათს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა ესპანურ „დეპორტივოს“ (2-0). „არსენალი“, მართალია, ფრეს დასჯერდა „ვალენსიასთან“ საშინაო მატჩში (0-0), მაგრამ ლონდონელები ჯგუფის ლიდერები არიან.

დამაჯერებლად მიიწევს „ინტერი“, რომელმაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე ორივე მატჩი მოიგო. ბოლოს სძლია ლევერკუზენის „ბაიერს“ (3-2), რომელიც ამაოდ ცდილობდა, გერმანული ფეხბურთის შელახული იმიჯის გამოსწორებას.

ძველი ტრადიციების დაბრუნების გზაზეა „აიაქსი“, რომელმაც იტალიურ „რომას“ მოუგო (2-1).

გასულმა მატჩებმა დაგვანახვა, რომ ფეხბურთის მოყვარულებს გაზაფხულზე არანაკლებ საინტერესო მატჩების ხილვა ელით..


ბორუსია – მილანი

### გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს

**A ჯგუფი**

**„ინტერი“ – „ბაიერი“ 3-2**

*გოლები:* 1-0 დი ბიაჯო (15), 2-0 დი ბიაჯო (27), 2-1 ქივკოვიჩი (63), 3-1 ბუტი (80 საკ. კარში), 3-2 ფრანსა (90)

**„ბარსელონა“ – „ნიუკასლი“ 3-1**

*გოლები:* 1-0 დანი (7), 1-1 ამეობი (24) 2-1 კლივერტი (35), 3-1 მოტა (58).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| ბაიერი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

**B ჯგუფი**

**„აიაქსი“ – „რომა“ 2-1**

*გოლები:* 1-0 იბრაგიმოვიჩი (11), 2-0 ლიტმანენი (66), 2-1 ბატისტუტა (88).

**„არსენალი“ – „დეპორტივო“ 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| აიაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ვალენსია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

**C ჯგუფი**

**„რეალი“ – „ლოკომოტივი“ 2-2**

*გოლები:* 1-0 რაული (22), 1-1 ობიორა (47), 1-2 მნგუნი (74), 2-2 რაული (76).

**„ბორუსია“ – „მილანი“ 0-1**

*გოლი:* ინძაგი (49)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *მილანი* | *2* | *2* | *0* | *0* | *2-0* | *6* |
| *ბორუსია* | *2* | *1* | *0* | *1* | *2-2* | *3* |
| *ლოკომოტ.* | *2* | *0* | *1* | *1* | *3-4* | *1* |
| *რეალი* | *2* | *0* | *1* | *1* | *2-3* | *1* |

**D ჯგუფი**

**„მანჩესტერი“ – „დეპორტივო“ 2-0**

*გოლები:* 1-0, 2-0 ვან ნისტელროი (7,55).

**„იუვენტუსი“ – „ბაზელი“ 4-0**

*გოლები:* 1-0, 2-0 ვან ნისტელროი (7,55).

**„იუვენტუსი“ – „ბაზელი“ 4-0**

*გოლები:* 1-0 ტრეზეგე (3), 2-0 მონტერო (34), 3-0 ტაკინარდი (43), 4-0 დელ პიერო (51, პენ).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 4 |
| დეპორტივო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| ბაზელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

## ფილიპსი «სანდერლენდში» რჩება

**ინგლისური საფეხბურთო კლუბ „სანდერლენდის“ ფორვარდი კევინ ფილიპსი, რომელიც შარშან ინგლისის პრემიერ-ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინა, კვლავ გააგრძელებს ამ გუნდში ასპარეზობას. ამით საბოლოოდ ბოლო მოეღება ჭორებს, იმის თაობაზე, თითქოსდა ფილიპსი „სანდერლენდიდან“ მიდიოდა.**

**„ჩვენს შორის შედგა საქმიანი საუბარი და დადგინდა, რომ ფილიპსი არსად წავა“, — განაცხადა „სანდერლენდის“ მფლობელმა ჰოვარდ უილკინსონმა.**

## «ვესტ ჰემი» ახალ ფეხბურთელებს არ იყიდის

ინგლისური გუნდის „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იანვარში, სატრანსფერო ბაზრის ციებ-ცხელების დროს, ახალ ფეხბურთელებს არ შეიძენენ. საინტერესოა, რომ „ვესტ ჰემი“ ინგლისის პრემიერლიგის სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფება.

## არგენტინელი კამორანეზის «სკუადრა აძურას» ღირსებას დაიცავს

**„იუვენტუსის“ არგენტინელ ფეხბურთელს 26 წლის მაურო კამორანეზის უახლოეს ხანში იტალიის ნაკრებში თამაში შეეძლება. საქმე ის არის, რომ კამორანეზის ორმაგი მოქალაქეობა უკვე აქვს და თანაც არასდროს უთამაშია არგენტინის ნაკრებში.**

**ამ ფეხბურთელით დაინტერესებულია „სკუადრა აძურას“ თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი, ხოლო არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელ მარსელო ბიელსის არასდროს „გახსენებია“ კამორანეზი.**

## «რომა» ბატისტუტას შემცვლელს ეძებს

იტალიური „რომას“ ხელმძღვანელობამ „თვალი დაადგა“ ბრაზილიური „სანტოსის“ ფორვარდ რობინიოს, რომელშიც რომაელები გაბრიელ ბატისტუტას შემცვლელს ხედავენ. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ამ სეზონის დასრულებისთანავე ტოვებს გუნდს. რაც შეეხება რობინიოს, მას ჯერ ვერ გადაუწყვეტია ევროპაში გადაბარგება. „მე ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ“, — განაცხადა მან ჟურნალისტებთან საუბარში.

## საჯაია ტრანსფერზე დააყენეს

**მოსკოვის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა საკადრო ცვლილებებს ახდენს. მათ უკვე ტრანსფერზე დააყენეს ორი ფეხბურთელი — გრიგორიანი და საჯაია. როგორც ჩანს, ქართველმა ფეხბურთელმა ვერ მოიკიდა ფეხი მოსკოვურ გუნდში.**

## დააკავეს დიეგო მარადონას ექიმი

**ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონტრაბ..ის ბრალდებით დააკავეს კოლუმბიელი ექიმი დიეტოლოგი მაუსირიო ვარგარა, რომელიც 2001 წელს დიეგო მარადონას მკურნალობდა.**

**ვარგარას დაპატიმრება ქალაქ კალის აეროპორტში მოხდა, როცა მისი კუთვნილი ორფსკერიან ჩემოდანში და ფოტო-აპარატის დამცავ ჩანთაში ორი კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინეს. ამ ნივთიერების გატანას ვარგარა არგენტინაში ლამობდა.**

## საფრანგეთის სპორტის აკადემიას პრემიაღა აკლდა...


რონალდო

საფრანგეთის სპორტის აკადემიის პრეზიდენტმა ალან დანმა წლევანდელი „დიდი პრემია“ მიანიჭა ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის რეალის ფეხბურთელს რონალდოს, „ინდივიდუალური ოსტატობის ბრწყინვალედ წარმოჩინებისათვის“. ეს პრემია 1905 წელს დაარსდა, რომელიც სპორტსმენებიდან კიდევ მიღებული აქვს „ფორმულა 1“-ში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს.

## ისევ ძველი სისტემით...

**სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ გადაწყვიტა, შეინარჩუნოს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის არსებული სისტემა. ასე რომ, კვლავ 10 გუნდი ერთმანეთთან მიმოსვლით ითამაშებს. ეს სისტემა არ მოსწონთ იმ გუნდებს, რომელთა წევრებიც ევროპაში თამაშობენ. საქმე ის არის, რომ ნაკრების ხელმძღვანელებს ხშირად უწევთ ევროპიდან ლეგიონერების გამოძახება, რასაც ევროპული კლუბები ეწინააღმდეგებიან.**

## ვლადიკავკაზელებს გუცაევ-ქოქუაშვილის ეიმედებათ

**რევაზ ძოძუაშვილმა უკვე მოაწერა კონტრაქტს ხელი ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბ „ალანიასთან“ და ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავა.**

ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც მოენატრათ ვალერი გაზაევის ხანა, რომლის დროსაც „ალანიას“ სახელი ქუხდა, — ყაველაშვილმა, შელიამ და მისმა თანაგუნდელებმა მაშინ ხომ რუსეთის ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვეს და ამით მოსკოვური კლუბების ჰეგემონია დაარღვიეს... ოსებს სწამთ რევაზ ძოძუაშვილის. ვლადიკავკაზურ პრესაში არაერთხელ გაიჟღერა, რომ ძოძუაშვილის თავკაცობით, რამდენიმე წლის წინ, რიგის „სკონტომ“ სასწაული მოახდინა და სტუმრად დაამარცხა ესპანური ფეხბურთის გრანდი „ბარსელონა“ (3-2).

შეგახსენებთ, რომ რევაზ ძოძუაშვილი „სკონტოს“ გარდა ხელმძღვანელობდა თბილისის „დინამოს“, ლატვიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში სათავეში ჩაუდგა ელისტის „ურალანს“, თუმცა ამ გუნდმა ბევრს ვერაფერს მიაღწია იმის გარდა, რომ რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ვლადიკავკაზური კლუბის ხელმძღვანელობა მოელაპარაკა ძოძუაშვილს და კონტრაქტიც გაფორმდა „2+1“ სისტემით, რაც ნიშნავს იმას, რომ ძოძუაშვილი გუნდს 2, შესაძლოა 3 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს (დანარჩენს მომავალი უჩვენებს). საინტერესოა, რომ „ალანიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ძოძუაშვილის გარდა კიდევ ორი კანდიდატურა იყო — ანდრეევი და ბაიდაჩნი, ვლადიკავკაზელებმა ქართველ სპეციალისტზე გააკეთეს არჩევანი.

„ალანიას“ უფროსად დაინიშნა საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი, რომელიც ადრე ვალერი გაზაევის თანაშემწეც იყო.

რევაზ ძოძუაშვილს დაეხმარებიან ალექსანდრე იანოვსკი და იგორ ცაკოევი.

როგორც შევიტყვეთ, რევაზ ძოძუაშვილს უკვე დაუწყია ფეხბურთელების შერჩევა ახლო საზღვარგარეთიდან, მათ შორის საქართველოდანაც. ისიც ცნობილია, რომ გუნდს შეემატებიან „სატურნის“ ნახევარმცველი ზუევი, აზერბაიჯანის ნაკრების წევრი გულიევი და ძმები კარამინები სომხური „პიუნიკიდან“.

მოამზადა **თენგიზ ჩობანიძემ**


ძოძუაშვილი


გუცაევი

## რუსებმა „33 საუკეთესო“ დაასახელეს

***რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა 2002 წლის სეზონის შედეგების მიხედვით დაასახელა 33 საუკეთესო ფეხბურთელი, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ლაურეატთა გამოვლენის ტრადიციის ერთგვარი გაგრძელებაა.***

საინტერესოა, რომ „33 საუკეთესოს“ წლევანდელ ვერსიაში 6 პოზიციაზე პირველი ადგილები მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს ერგოთ. ლაურეატთა შორის ომარ თეთრაძეცაა. გთავაზობთ რუსეთის „33 საუკეთესოს“ სრულ ვერსიას:

***მეკარეები:*** 1. ოვჩინიკოვი („ლოკომოტივი“), 2. ნიგმატულინი (ცსკა), ჩიჟოვი („სატურნი“);

***მარჯვენა მცველები:*** 1. ევსეევი („ლოკომოტივი“), 2. პარფენოვი („სპარტაკი“), 3. სენიკოვი („ლოკომოტივი“);

***ლიბეროები:*** 1. იგნაშევიჩი („ლოკომოტივი“), 2. ოვსეპიანი („ზენიტი“), 3. შერშუნი (ცსკა);

***მარცხენა მცველები:*** 1. ლეხხეტო („ლოკომოტივი“), 2. კებე („სპარტაკი“), 3. ევსიპოვი (ცსკა);

***სტოპერები:*** 1. ნიჟეგოროდოვი („ლოკომოტივი“), 2. პაშინინი („ლოკომოტივი“), 3. თეთრაძე („ალანია“);

***მარჯვენა ნახევარმცველები:*** 1. გუსევი (ცსკა), 2. არშავინი („ზენიტი“), 3. კორომანი („დინამო“);

***მარცხენა ნახევარმცველები:*** 1. კარიაკა („კრილია სოვეტოვი“), 2. სოლომატინი (ცსკა), 3. იანოვსკი (ცსკა);

***ცენტრალური ნახევარმცველები:*** 1. რახიმიჩი (ცსკა), 2. ალდონინი („როტორი“), 3. სემშოვი („ტორპედო“).

***გარემარბები:*** 1. ლოსკოვი („ლოკომოტივი“), 2. მამინოვი („ლოკომოტივი“), 3. ტიტოვი („სპარტაკი“);

***მარჯვენა თავდამსხმელები:*** 1. სემაკი (ცსკა), 2. ობიორა („ლოკომოტივი“), 3. კირიჩენკო (ცსკა);

***მარცხენა თავდამსხმელები:*** 1. კერჟაკოვი („ზენიტი“), 2. პიმენოვი („ლოკომოტივი“), 3. პოპოვი (ცსკა).

# ნბა

## „დენვერმა“ კვლავ წააგო


სან-ანტონიო – დალასი

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა“ სამი ქულით დათმო შეხვედრა სტუმრად „მემფისთან“ 93-96. მასპინძელთაგან მოედანზე ყველაზე შედეგიანი იყო გაზოლი (18 ქულა), ხოლო „დენვერის“ მოთამაშეთაგან ჰარვი, რომელმაც თავის გუნდს 23 ქულა შესძინა. „დალასს“ ფინალის ბრწყინვალე თამაშმაც (36 ქულა) ვერ უშველა „სან ანტონიოსთან“ მატჩში და 7 ქულით დამარცხდა — 104:111. *სხვა მატჩები:* „ბოსტონი“ — „ფინიქსი“ 94:103, „ნიუ-ჯერსი“ — „პორტლენდი“ 105:104, „დეტროიტი“ — „ატლანტა“ 91:80, „კლივლენდი“ — „ტორონტო“ 90:83, „ფილადელფია“ — „სიეტლი“ 88:92, „მილუოკი“ — „ინდიანა“ 119:126.

## გრანტი „ორლანდოდან“ გაუშვეს

ნბა-ს კლუბ „ორლანდოს“ ხელმძღვანელობამ კონტრაქტი დაარღვია ამავე გუნდის ფორვარდთან ჰორას გრანტთან. საქმე ის არის, რომ 37 წლის გრანტმა წლევანდელ სეზონში მხოლოდ ხუთ მატჩში იასპარეზა, საშუალო შედეგიანობა კი 5 ქულა იყო. დანარჩენი მატჩები ფორვარდმა მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა.

„გრანტი დიდებული მოთამაშეა, თუმცა, წლებს თავისი მიაქვს, — დღეს ადრინდელივით ეფექტურად ვეღარ თამაშობს“ — განაცხადა „ორლანდოს“ მწვრთნელმა დოკ რივერსმა.

შეგახსენებთ, რომ გრანტი თავისი კარიერის მანძილზე ოთხჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი. აქედან სამჯერ — „ჩიკაგოს“ შემადგენლობაში, ხოლო ერთხელ — 2001 წელს, „ლეიკერსთან“ ერთად. 1994 წელს იასპარეზა ნბა-ს „ყველა ვარსკვლავთა“ მატჩში.

„გვიჭირს გრანტთან განშორება. მას ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა“, — ეს სიტყვები „ორლანდოს“ მენეჯერს ჯონ გაბრიელს ეკუთვნის. ჯერჯერობით, უცნობია, თუ რას აპირებს გრანტი მომავალში.


გრანტი

## „ბალტიკის თასზე“

16-22 დეკემბერს მოსკოვში ჩატარდება „ბალტიკის თასის“ რიგით 35-ე გათამაშება, რომელშიც რუსეთის, ჩეხეთის, შვედეთის, ფინეთისა და სლოვაკეთის ჰოკეისტთა გუნდები იასპარეზებენ. ამათგან, მსოფლიო ჩემპიონი სლოვაკეთის ნაკრები კონკურსგარეშე მონაწილეობს, თუმცა მასთან შეხვედრა ყველა გუნდისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს და ტურნირსაც ინტრიგას მატებს.

## მარტინა ჰინგისი ავსტრალიაში არ ჩავა

მსოფლიოს ექსპირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი არ იასპარეზებს მომავალი წლის „დიდი სლემის“


ჰინგისი

პირველ ტურნირში — ავსტრალიის ღია პირველობაზე. ეს შეჯიბრება ადრე ჰინგისს სამჯერ ჰქონდა მოგებული. ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორები ჰინგისის უარმა მეტად დაამწუხრა.

## ამერიკელი კალათბურთელები ოლიმპიურ შესარჩევ ეტაპზე ითამაშებენ

*აშშ-ს კალათბურთელთა ნაკრები მომავალი წლის აგვისტოში იასპარეზებს ოლიმპიურ შესარჩევ ეტაპზე, რომელსაც პუერტო-რიკო უმასპინძლებს. აღნიშნულ შეჯიბრებაში სულ 10 გუნდი გამოვა და პირველ-მესამე ადგილზე გასულნი ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე გაემგზავრებიან. ამერიკელი კალათბურთელები უკვე მესამედ იწყებენ ასპარეზობას ოლიმპიური შესარჩევი ეტაპიდან. აქამდე ეს მოხდა 1992 და 1999 წლებში. აქვე იმასაც გეტყვით, რომ აშშ-ს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები 12-ჯერ ფლობდა ოლიმპიურ ოქროს მედლებს. წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე „ოცნების გუნდმა“ მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა, რამაც აიძულა აშშ-ს კალათბურთის ფედერაცია, ეროვნული გუნდი ოლიმპიურ შესარჩევ ეტაპზე გაეგზავნა. როგორც ჩანს, აშშ-ს „ოცნების გუნდი“ ახლავე იწყებს ზრუნვას, რათა 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში არ შერცხვეს. გუნდის მთავარი მწვრთნელია ლერი ბრაუნი, რომელიც ამავდროულად ნბა-ს კლუბ „ფილადელფიასაც“ თავკაცობს. მისივე სიტყვებით, აშშ-ს ნაკრებში ადგილი გარანტირებული აქვთ ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან კობი ბრაიანტი, ტრეის მაკგრეიდი, ტიმ დანკენი, ჯეისონ კიდი, რეი ალენი...*

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**13 დეკემბერი, პარასკევი**

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (11.20). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: (13.20, 15.05, 19.20), მე-2 ეტაპის მე-2 ტურის მატჩების მიმოხილვა (16.50), „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.00), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (21.30), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (23.15), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.00). ***НТВ плюс спорт.*** ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (11.45), ზამთრის სპორტის სახეობები (13.25, 15.10), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი, ევროპული პროგრამა (16.05), ტაილანდური კრივი (17.15), ტაიკვანდო. საერთაშორისო ტურნირი „პეტრე დიდის თასი“. მე-2 ნაწილი. სანკტ-პეტერბურგიდან (23.45). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.30, 17.15, 22.00), ფეხბურთი. უეფას თასი (15.15), ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. მოკლე დისტანცია (18.30, გერმანიიდან).

**14 დეკემბერი, შაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ – რუსთავის „აზოტი“ (16.55, II ტაიმის ვიდეოჩანაწერი), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.20), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (23.30), *მე-9 არხი.* რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი (პირდაპირი ტრანსლაცია, 18.30). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (13.15, 15.30), ჩემპიონთა ლიგის მე-2 ეტაპის მე-2 ტურის მატჩების მიმოხილვა (17.15), გერმანიის ჩემპიონატი (18.25, პირდაპირი ტრანსლაცია; 22.30). ინგლისის ჩემპიონატი (20.45), ესპანეთის ჩემპიონატი (0.25, პირდაპირი ტრანსლაცია). ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.55, 13.25, 15.15, 16.15, 18.00). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (18.45), მხატვრული ტანვარჯიში. რუსეთის ჩემპიონატი ჯგუფურ ვარჯიშებში (0.00). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 13.30, 17.00, 20.30, 22.30). ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. მოკლე დისტანცია (18.30, გერმანიიდან).

**15 დეკემბერი, კვირა**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩემპიონი (18.20), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (23.30). *რუსეთის I არხი.* კრივი. მსოფლიოში უძლიერეს პროფესიონალთა ბრძოლა: კრის ბერდი – ევანდერ ჰოლიფილდი (0.35), *მე-9 არხი.* დოკ. ფილმი: „მაიკლ ჯორდანი“ (18.20), „მსოფლიო ფეხბურთი“ (19.30). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15, 21.50), ესპანეთის ჩემპიონატი (14.55, 1.35), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (16.40), ინგლისის ჩემპიონატი: „ტოტენჰემი“ – „არსენალი“ (17.55 – პირდაპირი ტრანსლაცია). იტალიის ჩემპიონატი (20.11, 23.30 – პირდაპირი ტრანსლაცია). ***НТВ плюс спорт.*** პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის: კრის ბერდი – ევანდერ ჰოლიფილდი (6.30 – პირდაპირი ტრანსლაცია), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (11.45), პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის: კრის ბერდი – ევანდერ ჰოლიფილდი (20.15), ფარიკაობა. მსოფლიო თასი (1.15). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 15.00, 14.30, 15.30, 16.30, 17.30, 20.15). ფეხბურთი. აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი (23.30).

## შუმახერის აზრით, „ფერარის“ „ჩავარდნა“ ელის

„ფორმულა-1“-ში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი გასულ სეზონს თვლის, როგორც მისი სპორტული კარიერის პიკს. მისი აზრით, „ფერარის“ ჰეგემონია, შესაძლოა, მალე დასრულდეს, რადგან მეტოქე გუნდები მომავალი სეზონისთვის გულმოდგინედ ემზადებიან. გარდა ამისა, მიღწეულის გამეორებაში მისულს ხელს შეუშლის „ფორმულა-1“-ის ახალი რეგლამენტი, რომლის წყალობითაც, სპეციალისტები მომავალ წელს დიდ კონკურენციას და საინტერესო ბატალიებს მოელიან. ახალი სისტემა, რომელშიც შეტანილია სასტარტო განლაგების შემთხვევითობის ელემენტი. შედარებით სუსტ გუნდებსაც მისცემს საშუალებას, მაღალი ადგილებისათვის იბრძოლონ.


მიხაელ შუმახერი

## კროსვორდი № 97

თარაზულად: 3. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა გარემარბი, 7. ავსტრიის ნაკრების ნახევარმცველი 1975-86 წლებში, 8. გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი, 10. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 12. კვიპროსის საფეხბურთო კლუბი, 13. საფარიკაო საბრძოლო იარაღი, 14. ამერიკელი სპრინტერი ქალი, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი 100 მ. სირბილში, 17. ქართველი მოჭიდავე, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 19. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი, 20. სათამაშო პერიოდი ჩოგბურთში, 22. გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 24. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მეკარე, 26. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 27. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 29. იტალიელი ფეხბურთელი, 30. მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე, 31-32. 80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 33. „ჩელსის“ იტალიელი ფეხბურთელი, 34. კავკასიონის დასაძლევად ერთ-ერთი უძნელესი მწვერვალი, 37. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 38. კანადელი სპრინტერი, მსოფლიოს რეკორდსმენი 100 მეტრზე სირბილში, 40. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 41. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 42. ხორვატი ფეხბურთელი, ლეგიონერი, 44. რუმინეთის ნაკრების ფორვარდი, 45. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 47. რუსი მოჭიდავე, მიუნხენის და მონრეალის ოლიმპიადების ჩემპიონი, 51. ლეგენდარული ბასკი ფეხბურთელი, 53. წარსულში გამოჩენილი შვედი ჩოგბურთელი, 54. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 55. ზამთრის IX და XII ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი, 56. თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი 1937-48 წლებში.

შვეულად: 1. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 2. იაპონელი ტანმოვარჯიშე, 8 ოქროს ოლიმპიური მედლის მფლობელი, 3. რუსეთის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი, 4. კოლუმბიის საფეხბურთო კლუბი, 5. ლეგენდარული უნგრელი მოკრივე, 6. 1996-97 წლების მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, 7. ჭადრაკის ფიგურა, 9. „ფორმულა-1“-ის ფრანგი პილოტი, 11. „უდინეზეს“ ბრაზილიელი ფეხბურთელი, 15. გრძელ დისტანციაზე მორბენალი, 16. ფრანგი ფეხბურთელი, 18. გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი, 19. წარსულში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, 21. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 22. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 23. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 25. წარსულში გამოჩენილი ქართველი კალათბურთელი, 28. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 35. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 36. არგენტინის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 38. ცურვის სტილი, 39. ცნობილი ხორვატი მწვრთნელი ფეხბურთში, 43. არგენტინელი ფეხბურთელი, ლეგიონერი, 45. წარსულში გამოჩენილი ჩეხი ჩოგბურთელი, 46. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის 1960-61 წლებში, 48. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 49. 1997 წლის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი, 50. წარსულში გამოჩენილი არგენტინელი მწვრთნელი ფეხბურთში, 52. იტალიის ნაკრების ყოფილი მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი.



### კროსვორდი №96 პასუხები:

თარაზულად: 4. რიბლი, 7. ბაშანოვსკი, 8. ბონინსენია, 10. რენსენბრინკი, 14. ტალტსი, 17. „აია“, 19. ოლსენი, 21. მენჩიკი, 23. დარასელია, 24. ჯორდანი, 28. ივანი, 29. ილეთი, 30. ემიანი, 32. ბიკილა, 34. კვაჭაძე, 35. ალფონსო, 37. სამბო, 38-39. რიოსი, 40. ედბერგი, 42. კარპოვი, 43. ლიდერი, 45. ერანიო, 47. ფილდი, 49. რიდლე, 51. ყფიანი, 52. თხილამური, 53. „სევილია“, 56. დიდავა, 58. ედუ, 60. აზარტი, 64. მშვენიერაძე, 65. ალეინიკოვი, 67. მაზიაშვილი, 69. სეული; შვეულად: 1. გრივსი, 2. ციბორი, 3. ოვერატი, 5-12. ბუენო, 6. დიბიასი, 7. ბრონშტეინი, 9. ანდრიანოვი, 11. ქარქლი, 13. ენჩოსი, 16. ისარი, 17. აბაშიძე, 18. „ამერიკა“, 19. ონილი, 22. „ჩერნომორეცი“, 25. დოლიხოდრომი, 26. კარამბოლი, 27. „ფეიენოორდი“, 31. მესხი, 33. „ლანსი“, 34. კოე, 36. ორი. 41. იასალდე, 42. კარამბუ, 44. დიმიტრევა, 44. ნიკიფოროვი, 47. ფანხიო, 48. იახტა, 49. რურუა, 50. ვვერტი, 54. ტარმაკი, 55. გაბელია, 59-66. დვირი, 62. „ბეტისი“, 63. „გრემიო“. დიაგონალურად: 7-15. ბუბკა, 20-9. ნოდია, 65-57. „აზოტი“, 61-68. ტაიმი.

„თქვენთვის ერუდიტებო!“ (მე-5 გვ) პასუხები: 1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — გ.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. ნოვიკოვი (ორსკი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:
1. ეf7! 1. ...მe3 2. მd7X.
1. ...მe7 2. მh7X.